# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



პარასკევი, 22 იანვარი, 2010 წელი.
№12 (6378)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge
ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika
ფასი 50 თეთრი.

## რატომ არ არის საქართველოში დემოკრატია

8





## ჭაბუა ამირეჯიბი: ჩვენი უბედურება ერთობლივი ეროვნული მიზნის უქონლობაა, მიზნისა, რომელიც შეკრავდა, გააერთმთლიანებდა და გააერთმიზნიანებდა ქართველ ერს

**— რას გვეტყოდი, ბატონო ჭაბუა, ქართველი ერის დღევანდელ მდგომარეობასა და პერსპექტივაზე?**

— ჩემი აზრით, ჩვენს ქვეყანაში დღევანდელი ვითარება უმძიმესი და ერთობ რთული პერსპექტივისაა, რაც მხოლოდღა განმეორებაა შორეულ თუ ახლო წარსულში არსებული მდგომარეობისა, როგორც საზოგადოებრივი თუ ყოფაცხოვრებითი, ისე ჩრდილოელი მტრის ახლო მომავალში მოსალოდნელი ბარბაროსული თავდასხმისა.

**— რა აზრისა ბრძანდებით რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნების პრობლემატიკაზე?**

— რუსეთს თავისი იმპერიის ექვსასწლოვანი ისტორიის მანძილზე დაპყრობითი ომების წარმოების, ხალხთა დამონებისა და მათი ძარცვის მეტი არაფერი უკეთებია და ისიც სათქმელია, რომ რუსთაგან ერთხელ დაპყრობილი ქვეყნის გათავისუფლების მაგალითები მხოლოდ კატაკლიზმების, წყობილების ნგრევის შედეგად ხორციელდებოდა. კატაკლიზმები გახლდათ ე. წ. საბჭოთა წყობილების ლიკვიდაცია, რის შედეგადაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები გათავისუფლდნენ რუსული უღლისგან და მეორე კატაკლიზმი, რომელმაც ე. წ. „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“ (დსთ) მოუვლინა მოლოდინით გაწამებულ კაცობრიობას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ რუსების იმპერია გამონაკლისი არ გახლავთ — დამპყრობლური საგარეო პოლიტიკა თითქმის ყველა იმპერიის ნიშან-თვისებაა.

იხ. 2 გვ.



## ვის შეხვდა უკრაინაში ზურაბ ნოღაიდელი და რა გეგმები აქვს სააკაშვილის წინააღმდეგ?

2



## ბენდუქიძე მთავრობას მომჭირნეობას ასწავლის!

6



## უფლის სასწაულის მოლოდინში

4

## „დახარისხებული“ ხელოვნება...

5

## „რუსეთისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში ქართული მიმართულება წამგებიანია“

3

აქტუალური ინტერვიუ

(პირველი გვერდიდან)

**— თქვენ ბრძანეთ, რაც ხდება ქართველთა თავს, მხოლოდღა წარსულში შექმნილ და გადატანილ ვითარებათა განმეორებააო...**

— თურმე ქართველები სადღაც სალაღობო სუფრას ვუსხედით, ქეიფს შევყევით და ღმრთისმშობლის მიერ ნაბოძები ფიორა ნაწილიღა გვერგო ხმელეთის საზეიმო განაწილების შედეგად. ამ მიწა-წყალს საქართველო, ქართველი ერის ქვეყანა ჰქვია და ცისქვეშეთში ერთ-ერთი უმშვენიერესი გზაჯვარედინია, უმძიმესი და განსაცდელებით აღსავსე საცხოვრისი.



ლება და აქაურობის რუსული ეთნოსით დასახლება რუსებს ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის დროიდან აქვთ მიზნად დასახული. პირადად მე არ გამოვრიცხავ, რომ ახლო მომავალში რუსებმა აგრესია გაიმეორონ. ამ განზრახვაზე დეც, ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იქნება, რადგან ეროვნული წინააღმდეგობით ცეცხლმოკიდებულ მიწაზე დიდხანს ვერავინ შეყოვნებულა, და ასე იქნება საქართველოშიც.

**— რა მიგაჩნიათ ისეთ მიზნად, რომელსაც შეეძლება ქართველი ერის, როგორც თქვენ ბრძანეთ, გაერთმთლიანება და გაერთმიზნიანება?**

— უპირველესად ყოვლისა, უნდა გამოჩნდეს პოლიტიკური ძალა, ან ძალთა კრებული, ვინც შეძლებს განუმარტოს და გაუთავისოს ქართველ ერს რუსული ბარბაროსობის ფესვთა არსი, შეაგნებინოს მოსალოდნელი საშიშროება და ბრძოლის წყურვილი გაუჩინოს ყველა ისეთი მოვლენისა თუ ღონისძიების წინააღმდეგ, რაც რუსეთს დაპყრობების ხალისს უმძაფრებს. ეროვნული მიზანი, ბატონებო!!!

**— დასასრულ, თუ ნებას მომცემთ, ერთი კითხვა უნდა დაგისვათ. ამბობენ, რუსეთში მოღვაწე ბატონ ებრალიძეს ქართველი მწერლების ფულადი პრემიებით დაჯილდოება აქვს განზრახული. მათ შორის თქვენი გვარიც ფიგურირებს. შესძლებთ თუ არა, უარი თქვათ ოცდახუთიათასლარიან პრემიაზე, როგორც ზოგმა მწერალმა უკან წაიღო თავისი თანხმობის განცხადება?**

— უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემთვის და ნოდარ წულეისკირისთვის მე პრემიის უკონკურსოდ მონიჭება, მართალია, მაცნობეს, მაგრამ თავად მე რამენაირი თანხმობა არავისთვის არ მიცნობებია. ერთხანს ვფიქრობდი, თანხა მიმეღო, პაატა ბურჭულაძის ფონდისთვის გადამეცა, სხვა ქართველებიც წამექეზებინა ფონდში მონაწილეობისთვის, რომ ყოველ ახალდაბადებულ ქართველს გარკვეული დახმარება აღმოსჩენოდა; ეს აუცილებელია, რადგან ჩვენი ხელისუფლება მშობიარეთა რაიმე მატერიალური დახმარებისთვის არაფერს არ აკეთებს... მაგრამ ამ იდეაზე ხელი ავიღე, ბინაზეც რომ მომართვან, არ მივიღებ, სალანძღავად არ წავაქეზებ შარისა და საყვედურის მოყვარულებს.

**— გმადლობთ გულახდილობისთვის, ბატონო ჭაბუა.**

## ჭაბუა ამირეჯიბი: ჩვენი უბედურება ერთობლივი ეროვნული მიზნის უქონლობაა, მიზნისა, რომელიც შეკრავდა, გააერთმთლიანებდა და გააერთმიზნიანებდა ქართველ ერს

**— როგორ გგონიათ, რატომ „მოგვისაჯა“ ღმრთისმშობელმა ეს მიწა-წყალი?**

— ალბათ იმ მიზნით, რომ გარეშე მტრისაგან განუწყვეტელი თავდაცვისა და ნახევრადმშიერი ცხოვრების წინააღმდეგ ბრძოლით არა მარტო მოდგმა გადაგვერჩინა, არამედ სიცოცხლისუნარიანობა შეგვენარჩუნებინა და მომავალი ბრძოლებისთვის მზადყოფნა თვისებად გვექცია.

**— როგორად მიგაჩნიათ დღევანდელი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და მომავალი?**

— სანამ ამას ვუპასუხებ, უნდა შეგახსენოთ, რომ ჩვენი თანამედროვე რუსეთი ახალი, მოდერნიზებული იმპერიის მშენებლობას ახორციელებს, მისი ახალი დაპყრობების ჟინი საქართველოზეც გავრცელდა და, საერთოდ, სამხრეთ კავკასია, კერძოდ, ჩვენი მიწა-წყალი თავისი მომავალი დაპყრობების პლაცდარმად სჭირდება. ქართველი ერის საითმე გადასახლება და აქაურობის... ხელის აღებას მათ ვერაფერი აიძულებს. წარმოიდგინეთ, ხვალ, ჩვეული პროვოკაციის შედეგად ჯარები შემოგვისია და დაგვიპყრო, რა, — ამერიკა თუ ევროპა ამ ომს ომითვე უპასუხებს? რამდენჯერმე მაქვს ნათქვამი, საფლავში არავინ ჩაგვყვება-მეთქი. ჩვენი ინტერესების, თუნდაც ფიზიკური არსებობის გადასარჩენად კაცობრიობას ატომური ომისთვის არავინ გაიმეტებს და სწორედ ეს არის რუსების მთავარი კოზირი ჩვენთან ურთიერთობის თამაშში.

**— როგორ ფიქრობთ, რა არის ჩვენი ერის დღესდღეობითი უპირველესი ამოცანა?**

— ჩვენი უბედურება ერთობლივი ეროვნული მიზნის უქონლობაა. მიზნისა, რომელიც შეკრავდა, გააერთმთლიანებდა და გააერთმიზნიანებდა ქართველ ერს. ეს თუ მოხერხდა, ბოლო მოეღება ჩვენი პოლიტიკური დაქსაქსულობის ტრაგედიას და ერთი მიზნის გარშემო შეკრულ ერს რუსი თუ მოერია კი-

ესაუბრა
**გურამ წიკლაური**
21.01.2010 წ.

უკრაინული სკანდალი

# საქართველოს ხელისუფლება ჯერჯერობით თავს იკავებს...

**საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები უკრაინულ სკანდალთან დაკავშირებით ოფიციალური პოზიციის დაფიქსირებისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ. პრეზიდენტის ადმინისტრაცია ქართველი დამკვირვებლების ირგვლივ უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით კომენტარს არც რიგით მეორე სკანდალური სატელეფონო ჩანაწერის გამოქვეყნების შემდეგ აკეთებს. როგორც „პირველს“ პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განუცხადა, თუ პრეზიდენტის ადმინისტრაცია აღნიშნულ აუდიოჩანაწერებთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთებას გადაწყვეტს, მისი პოზიცია ოფიციალურ ბრიფინგზე გაჟღერდება.**

**მომხდართან დაკავშირებით პოზიციას არც ქვეყნის საგარეო პოლიტიკური უწყება აფიქსირებს. როგორც „პირველს“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ია მახარაშვილმა განუცხადა, „საგარეო პოლიტიკური უწყება მსგავს სისულელეებთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირებას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს“.**



**შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე დუმს. ოფიციალური სტრუქტურების დუმილის პირობებში ჟურნალისტებმა კომენტარისთვის თბილისის მერს გიგი უგულავასაც მიმართეს, თუმცა აღმოჩნდა, რომ დედაქალაქის თავკაცისთვის უკრაინულ სკანდალთან დაკავშირებით „არაფერია ცნობილი“. „ვერაფერს გეტყვით, არაფერი ვიცი“, — განაცხადა უგულავამ. რაც შეეხება საპარლამენტო უმრავლესობას, ერთადერთი, ვინც აღნიშნულთან დაკავშირებით „პირველის“ კითხვას უპასუხა, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი ვახტან ბალავაძეა.**

**მას უკრაინაში გამოქვეყნებული ჩანაწერების ნამდვილობაში ეჭვი შეაქვს და არ გამორიცხავს, რომ ეს ჩანაწერები თავად რუსული სპეცსამსახურების მიერ იყოს დამზადებული. „საქართველოს ხელისუფლების ინტერესებში ნამდვილად არ შედის ის, რაშიც რუსული მხარე და უკრაინის პრორუსული ძალები გვადანაშაულებენ. ქართველების მიმართ აჟიოტაჟი ჯერ კიდევ მაშინ ატყდა, სანამ უკრაინაში არჩევნები დაინიშნებოდა და ქართველი დამკვირვებლები უკრაინაში წავიდოდნენ. ამ აჟიოტაჟს რუსეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ტელეხიდების დროს და ტელეგადაცემებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი დამკვირვებლების მიმართ პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მათ არჩევნების დაკვირვების პროცესში რაიმე დანაშაული ჩაიდინეს, ჯერ არ გახმიანებულა, ეს კი იმის თქმის საფუძველს მაძლევს, რომ ჩვენი შევიწროება რუსეთის მხრიდან უბრალოდ ეთნიკური ნიშნით ხდება“, — განაცხადა „პირველთან“ საუბრისას ვახტანგ ბალავაძემ და დასძინა, რომ „მოსკოვი, რომელიც საქართველოს ხელში ჩაგდებას ოკუპაციისა და ინტერვენციის გზით ცდილობს, უკრაინაში ამის გაკეთებას არჩევნების გზით აპირებს“.**

**შეგახსენებთ, რომ უკრაინულმა მედიამ ორი სატელეფონო საუბრის ფარული ჩანაწერები გამოაქვეყნა. ორივეში საუბარი ქართველ დამკვირვებლებს ეხება. უკრაინული მედიის მტკიცებით, პირველ ჩანაწერში საქართველოს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი კიევში მყოფ პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს გივი თარგამაძეს უკრაინაში 2 ათასამდე კაცის ტრანსპორტირების ტექნიკურ საკითხებზე ესაუბრება, მეორეში კი თარგამაძე ქართველ დამკვირვებლებთან დაკავშირებულ საკითხებს ვინმე კონსტანტინესთან არკვევს.**

ბრიფინგი

# ვის შეხვდა უკრაინაში ზურაბ ნოღაიდელი და რა გეგმები აქვს სააკაშვილის წინააღმდეგ?

**რა სახიფათო პარტიას ეთამაშება ზურაბ ნოღაიდელი მიხეილ სააკაშვილს, ამის დეტალური გაშიფვრა ჯერნაადრევია, მაგრამ მიშას ნერვებზე თამაში რომ კარგად გამოსდის, ესეც ფაქტია. უკრაინაში გამგზავრებამდეც ხომ ასე დაიბარა „სააკაშვილის გასაღიზიანებლად მივდივარო“, ამიტომაც დიდი იყო ინტერესი, თუ რა ინფორმაციით დაბრუნდებოდა „სამართლიანი საქართველოს“ ლიდერი არჩევნების ციებ-ცხელებაგამოვლილი უკრაინიდან.**

სწორედ ამ სკანდალურ განცხადებას მოჰყვა ასეთი მძაფრი რეაქცია მასმედიის მხრიდან. პრემიერმინისტრობის დროს არ დასწრებია ნოღაიდელის ბრიფინგს იმდენი ჟურნალისტი, რამდენმაც გუშინდელ მის პრესკონფერენციაზე მოიყარა თავი. მათ შორის იყო ყველაზე „ანტირუსი“, ნატოს თბილისის შტაბის ხელმძღვანელი თენგიზ გოგოტიშვილიც.

ნოღაიდელმა სულ ხუთი წუთი დაიგვიანა. სანამ მთავარ თემაზე გადავიდოდა და მისი უკრაინაში ვიზიტის შედეგებზე ილაპარაკებდა, კომენტარი გივი თარგამაძის, ვანო მერაბიშვილისა და ვინმე კონსტანტინეს სატელეფონო საუბრის ჩანაწერზე გააკეთა: **„როგორც მოისმინეთ, ისინი კრიმინალების მეშვეობით აპირებდნენ „პრობლემის“ მოგვარებას. კატეგორიულად მოვითხოვ, რომ დადგეს ამ პიროვნებების პასუხისმგებლობის საკითხი და ბოლომდე გამოიძიონ ეს ფაქტი“,** — აღნიშნა ნოღაიდელმა. მისი თქმით, უკრაინაში არავინ იყო წინააღმდეგი, ქართველი დამკვირვებლების მონიტორინგით ჩაევლო საარჩევნო პროცესს, მაგრამ მათს გაოცებას იწვევს, თუ რატომ ჩავიდა ამდენი მოჭიდავე, სპორტსმენი და ძალოვანი უკრაინაში არჩევნების დასაკვირვებლად. ექსპრემიერის შეფასებით, ეს იყო საქართველოს ხელისუფლების უაზრო მცდელობა, ჩარეულიყო სხვა ქვეყნის შიდა პროცესებში. ნოღაიდელი იმუქრება, რომ ასეთივე უშედეგო იქნება საქართველოში არჩევნების არევის მცდელობა ჩვენივე ხელისუფლების მხრიდან.



„სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ამტკიცებს, რომ ის უკრაინაში არც იანუკოვიჩსა და არც ტიმოშენკოს არ შეხვედრია და, საერთოდ, მისი ვიზიტი არ უკავშირდებოდა პოლიტიკას. **„მე რომ ამ ეტაპზე პოლიტიკოსებს შევხვედროდი, ეს იქნებოდა კონტრპროდუქტიული ნაბიჯი, რომელიც თარგამაძისა და სააკაშვილის მცდელობას დაემსგავსებოდა. ჩვენ პრეფერენციები არ უნდა ჩამოვაყალიბოთ, თუ ვინ იქნება უკრაინის პრეზიდენტი. ვინც არ უნდა აირჩიოს უკრაინელმა ხალხმა, ყველასთან სტრატეგიული და კეთილმეზობლური ურთიერთობა გვექნება“,** — აღნიშნა მან.

სააკაშვილისა არ ვიცი, მაგრამ ჟურნალისტებს კი ნამდვილად მოგვეშალა ნერვები, სანამ ნოღაიდელი მთავარ სათქმელს იტყოდა. მაგრამ კიდევ უფრო გამაღიზიანებელი იყო პასუხი: **„უკრაინაში უკრაინელ ბიზნესმენებს შევხვდი საქართველოს დამოუკიდებელი ტელევიზიების ტექნიკური აღჭურვის საკითხებზე დახმარების სათხოვნელად“.**

ნოღაიდელმა არ დააკონკრეტა, რომელი ტელევიზია იგულისხმა, რა თანხებზე იყო საუბარი, ვინ დაავალა მას შუამდგომლობის გაწევა და ამით ჟურნალისტებს მარჩიელობის საშუალება მოგვცა: **„ჯერ არაფერს არ გეტყვით, მოლაპარაკებების დასრულებამდე“,** — გადაჭრით განაცხადა ექსპრემიერმა.

სავარაუდოდ, იგულისხმება რომ ნოღაიდელი თანამოაზრეებთან ერთად აშკარად გეგმავს, ხელში აიღოს სააკაშვილის ტელევიზიების ალტერნატიული სივრცე: „კავკასია“, „მაესტრო“ და რეგიონული ტელეკომპანიები. განსაკუთრებით ეს „მაესტროს“ ეხება, რომელსაც სათავეში ეროსი კიწმარიშვილი ჩაუდგა. მისი მოსვლის დღიდან კი დაიხურა ისეთი ტელეპროექტი, როგორიც იყო „საკანი №5“. „მაესტროში“ სერიოზული რეორგანიზაცია არის დაწყებული, რომლის დასრულებისთანავე სკანდალური პროექტების გასვლა იგეგმება, მაგალითად, „ხალხი ასამართლებს ხელისუფლებას“.

**გამოდის, რომ ზურაბ ნოღაიდელი ტელესივრცის ხელში აღებით პოლიტიკური რევანშისთვის ემზადება. მაგრამ, საინტერესოა, როგორ მოახერხებს ის უკრაინელების დარწმუნებას, რაიმე წვლილი მიუძღოდეთ მათ ქართული დამოუკიდებელი ტელემაუწყებლობების საქმიანობაში, თუნდაც ტექნიკური აღჭურვის სახით. მით უფრო, რომ, როგორც ოპოზიციონერი ლიდერი ამბობს, „უკრაინაში ხალხი გადარეულია: ჩვენი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ უკრაინელებს საქართველო შეაზიზღოს“.**

**თეა მოსია**

◎ ბრიფინგი

# პენსიების 150 ლარამდე გაზრდას მოითხოვენ

**„ვარდების რევოლუციის“ გზით მოსული ხელისუფლების უმთავრესი მიზანი პენსიონერების სოციალურად უზრუნველყოფა იყო. მათ ჰპირდებოდნენ, რომ პენსია ასი დოლარი გაუხდებოდათ, თუმცა დაპირება დაპირებადვე დარჩა. ასი დოლარით თუ ვერა, ხუთი ლარით ხომ მოუმატეს. თუმცა, ეს ვერაფერი მეკავშირეა იმ პრობლემებთან გამკლავებაში, რაც დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი. როგორ გინდა, რომ კაცმა თვიდან თვემდე ოთხმოცი ლარით იცხოვრო?**



პენსიების ალებასთან დაკავშირებით საახალწლოდ, „სახალხო ბანკმა“ ახალი პროექტი შეიმუშავა. ნებისმიერ პენსიონერს შეუძლია წინასწარ რამდენიმე თვის თანხა ერთად აიღოს, მაგრამ პროცენტების დაკავებით. გამოდის, რომ ისინი თითქმის ერთი თვის პენსიას კარგავენ...

ლეიბორისტებისა და პენსიონერთა კავშირის მხარდაჭერით პრობლემას „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია გამოეხმაურა.

— ჩვენ მოვითხოვთ, რომ პენსიები 150 ლარამდე გაიზარდოს. ჯერ არ გადაგვიწყვეტია, „სახალხო ბანკთან“ ღირს თუ არა ურთიერთობა, რადგან დაზარალებული მხარე მხოლოდ პენსიონერია. მას ეკარგება ერთი თვის პენსია. ამიტომ 23 იანვარს ჭადრაკის სასახლეში შევიკრიბებით პენსიონერებთან ერთად.

მოვუწოდებ ყველას, მხარი დაუჭიროს ჩვენს ინიციატივას“, — განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

**ეკა მაშიანოვა**

◎ პრესკონფერენცია

# „ქალლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო“...



**„სააკაშვილის ძალადობრივი რეჟიმი საერთაშორისო კრიმინალურ სინდიკატად გადაიქცა, რომელიც საფრთხეს უქმნის სტაბილურობასა და მშვიდობას, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე რეგიონში, რისი დასტურიცაა საქართველოდან უკრაინაში სახელისუფლო საარჩევნო-დივერსიული ჯგუფების გადასხმა დესტაბილიზაციის გამოწვევის მიზნით, რაც დადასტურებულია უტყუარი მტკიცებულებებით, მათ შორის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოქვეყნებული ჩანაწერებით“, — ასე, ამ ვრცელი სიტყვებით დაიწყო პრესკონფერენცია ლეიბორისტული პარტიის მდივანმა გიორგი გუგავამ.**

გიორგი გუგავამ ლეიბორისტების სახელით გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართა, რომ სამართლის პრინციპების დაცვით საგანგებო სხდომაზე შეიქმნას სპეციალური სასამართლო ტრიბუნალი: **„რეგიონში შექმნილი საშიში მდგომარეობის გათვალისწინებით მივმართავთ გაეროს უშიშროების საბჭოს, სამშვიდობო ინტერესებიდან გამომდინარე, შეიქმნას სასამართლო ტრიბუნალი, რომელიც უზრუნველყოფს სააკაშვილის კრიმინალური რეჟიმის გასამართლებას“,** — განმარტა გუგავამ.

ლეიბორისტული პარტია შეშფოთებულია იმით, რომ საქართველოს ხელისუფლებას საკუთარი ქვეყნისთვის ვერ მოუვლია და სხვის ბოსტანში ისვრის კენჭებს. გუგავამ უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებზე გაგზავნილი ე. წ. ქართველი დამკვირვებლები ასე შეაფასა: ქალლი შინ არ ვარგოდაო, სანადიროდ გარბოდაო, ისეა ამ ხელისუფლების საქმე... სასაცილო რომ არ იყოს, სატირალიაო... — დასძინა ლეიბორისტების მდივანმა.

**ხატია მუსერიძე**

◎ ინფორმაცია

## სად გადაიტანენ რკინიგზას?

**თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენლებმა რკინიგზის გადატანის საკითხზე იმსჯელეს.**

**შეხვედრის მიზანი იყო სწორი სტრატეგიის შემუშავება, თუ როგორ უნდა აითვისონ მტკვრის მარცხენა სანაპირო ისე, რომ მიმდებარე ტერიტორიას ზიანი არ მიადგეს.**

**საუბარია სულ 80 000 ჰექტარ ფართობზე, რომელზეც მაღალხარისხიანი და მრავალფუნქციური ცენტრი განთავსდება.**

**შეხვედრაში ის არქიტექტორები მონაწილეობდნენ, რომლებმაც პარიზის რკინიგზის გადატანის პროექტი განახორციელეს. ამ გამოცდილებას ისინი ქართველ კოლეგებს გაუზიარებენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ თვალსაზრისი

# „რუსეთისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში ქართული მიმართულება წამგებიანია“



***რა მიზნებს ისახავს მოსკოვი ქართულ ოპოზიციასთან დაახლოებით, ვის სასარგებლოდ დასრულდა უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური — დასავლეთის თუ რუსეთის და, ასევე, რა პერსპექტივა აქვს რუსეთში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, „ინტერპრესნიუსი“ რუს პოლიტოლოგ დიმიტრი ორეშკინს ესაუბრა.***

**— ბატონო დიმიტრი, ფაქტია, რომ რუსეთის პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი საქართველოს მიმართულებით აქტიურობენ. თქვენი აზრით, ამჯერად რის დემონსტრირებასა და მიღწევას ცდილობს რუსეთის ხელისუფლება?**

— რუსეთის ხელისუფლებას საქართველოს მიმართულებითაც ისეთივე მითოლოგიზებული პოლიტიკა აქვს, როგორც მაგალითად, მოსკოვში აქციებისა და მსვლელობების დაუშვებლობაა. სინამდვილეში, საქმე გვაქვს თავის მოტყუებასთან. საქართველოსთან მიმართებაში პუტინი თავის პირად პრობლემას აგვარებს, მას ძალიან უნდა სააკაშვილს ცხვირში უთავაზოს.

ჩემი შეფასებით, სააკაშვილმა საკმარისზე მეტი შეცდომა კი დაუშვა, მაგრამ ის კი არ არის მთავარი, უთავაზებს თუ არა ცხვირში პუტინი სააკაშვილს, მთავარია ორ სახელმწიფოსა და ორ ხალხს შორის ნორმალური, ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების ჩამოყალიბება. ვფიქრობ, რუსეთში არსებული სახელისუფლო ვერტიკალი და ვერტიკალის ღირებულებათა არსებობა ამგვარ პერსპექტივას სპობს. შესაბამისად, რუსეთი საქართველოსთან მიმართებაში არა რაციონალურ, არამედ ირაციონალურ ამოცანებს ისახავს, რაც ურთიერთობების გაუარესებასა და ყველა საკითხში კვანტის დადებაში გამოიხატება.

მას შემდეგ, რაც კადიროვმა განაცხადა, რომ დროა, რუსეთმა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტოს უკრაინისა და საქართველოს საკითხი და შეტევაზე გადავიდეს, საქართველოს სხვა გზა არ დარჩენია, თუ არა ნატოში გაწევრება. თუ საქართველო ნატოში გაწევრდა, ეს პუტინის პოლიტიკის მარცხი იქნება. მეეჭვება, რუსეთმა შეძლოს ამ პროცესის შეჩერება.

აშკარაა, რომ რუსეთისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში ქართული მიმართულება წამგებიანია. რუსეთს საქართველოსთვის ხელის შეშლა სიამოვნებით კი შეუძლია, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში იმავე სამხრეთ ოსეთში 2-3 წელიწადში ყველა მიხვდება, ვინ არის კოკოითი, და ვის ხელში აღმოჩნდნენ. ამის შემდეგ, სამხრეთ ოსეთში დარჩენილი ოსები საქართველოს ტერიტორიაზე თავის თანამემამულეებთან საერთო ენის გამონახვას დაიწყებენ.

სამწუხაროა, რომ რუსეთის ხელისუფლება გრძელვადიან მიზნებს არ ისახავს. ყალბი მიზნების გამო რუსეთის სახელისუფლო ვერტიკალი არა მარტო საქართველოს საკითხშია ჩიხში. ქვეყნის ჩიხურ ვითარებას რუსეთში უკვე ბევრი საღად აფასებს, მაგრამ საზოგადოების უმრავლესობა ამას ალბათ მაშინ მიხვდება, როცა რუსეთი ყრუ კედელს იქნება მიბჯენილი.

**— უკრაინაში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურს ყველა სხვადასხვაგვარად აფასებს. თქვენი აზრით, ამ არჩევნების შედეგებით რუსეთმა მოიგო თუ დასავლეთმა?**

— უკრაინის არჩევნებზე საუბრისას ყურადღება იმაზე კი არ უნდა გავამახვილოთ, რაც მოხდა, არამედ იმაზე, რაც არ მომხდარა. ამჯერად არავის არ უთქვამს, რომ უკრაინაში არჩევნები „ვაშინგტონის საოლქო კომიტეტის“ რეჟისურით ჩატარდა. წინა საპრეზიდენტო არჩევნებისას რუსეთის სახელისუფლო ტელევიზიები ამტკიცებდნენ, რომ უკრაინაში 2004 წლის არჩევნები დასავლეთის კონტროლის ქვეშ წარიმართა. ახლა ყველასათვის ნათელია, რომ უკრაინელმა ხალხმა თავისი ნება გამოხატა და ვინ იქნება პრეზიდენტი, ეს უკრაინელი ხალხის გადასაწყვეტია. ჩემი აზრით, ამ არჩევნებში უკრაინელმა ხალხმა, როგორც ევროპულმა ნაციამ (ერმაძ გაიმარჯვა. უკრაინელმა ხალხმა, როგორც ევროპულმა ნაციამ (ერმაძ კონსენსუსის მექანიზმი სამართლიან არჩევნებს მიანდო. ვინც არ უნდა აირჩიონ უკრაინაში პრეზიდენტად, ის იმათი პრეზიდენტიც იქნება, ვინც ხმა მისცა და იმათიც, ვისაც ხმა არ მიუცია.

რაც შეეხება საკითხს, ჯერაც დაუსრულებელ არჩევნებში ვინ გაიმარჯვა, დასავლეთმა თუ რუსეთმა, სამართლიანი იქნება აღვნიშნოთ, რომ დღეისთვის არსებულ კონფიგურაციაში ყოველთვის დასავლეთი იგებს. საქმე ის არის, რომ უკრაინაში სულ უფრო მეტი ადამიანი იზიარებს დემოკრატიულ ფასეულობებს, ცხოვრების დასავლურ მოდელს. უკრაინელებს ევროპული ცხოვრების მოდელი იმის გამო მოსწონთ, რომ დასავლური ცხოვრების წესი უფრო ეფექტიანია, თავისუფალი და კომფორტულია, ვიდრე ის, რაც მათ შეიძლება რუსეთმა შესთავაზოს.

**— რუსეთში სამოქალაქო სექტორი საგრძნობლად გააქტიურდა. იმის ფონზე, რომ ხელისუფლებამ მოსკოვში დემონსტრანტები კიდევ ერთხელ დაარბია, როგორია რუსეთში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პერსპექტივები?**

— აშკარაა, რომ ხელისუფლებას არა მარტო არ შეუძლია, შეასრულოს თავისი კონსტიტუციური ვალდებულება და უზრუნველყოს საზოგადოების მხრიდან დემონსტრაციისა და მსვლელობის ჩატარების უფლება, არამედ, საერთოდ არაფრის გაკეთება არ შეუძლია. მთავარი ის არის, რომ აქციებში მონაწილეობისთვის რუსეთში სულ უფრო მეტი ადამიანი გამოთქვამს მზადყოფნას. იმისთვის, რომ საზოგადოება არ დაფრთხეს, მსვლელობები აუცილებლად მშვიდობიანი უნდა იყოს.

აქციაზე მრავლად იყვნენ მემარცხენე შეხედულებების ადამიანები, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან მათ გააპროტესტეს მოსკოვის ქუჩებში მკვლელობების შემაძრწუნებელი ფაქტები. ამის სრული უფლება ჰქონდათ, თუნდაც იმიტომ, რომ ხელისუფლება საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველყოფას ვერ ახერხებს. საქმე ის კი არ არის, ხელისუფლება ცუდია თუ კარგი, რუსეთის ხელისუფლებას არც ჭანჭიკების მოჭერა და არც საზოგადოებისთვის უსაფრთხოების ელემენტარული ნორმების უზრუნველყოფა არ შეუძლია. ხელისუფლებას შეუძლია, ზოგადად იმსჯელოს სახელისუფლო ვერტიკალზე და უსაფრთხოების გაძლიერებაზე, მაგრამ სინამდვილეში საზოგადოება ხედავს იმავე ვერტიკალში მყოფი ადამიანების მხრიდან მზარდ თვითნებობას, ძალადობასა და იმას, რომ რუსეთში ხელისუფლების მხრიდან თვითნებობისა და ძალადობის მასშტაბები სულ უფრო იზრდება.

**— რუსეთის ხელისუფლების პირველმა პირებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ არ დაუშვებდნენ ქვეყანაში არეულობას და ყველაფერს გააკეთებდნენ ამის აღსაკვეთად...**

— მთავარი ეს არ არის, ვინაიდან, აქციების დაუშვებლობა კი, მაგრამ ვითარების გამოსასწორებლად არაფრის გაკეთება არ შეუძლია. ეს რუსეთში სულ უფრო და უფრო მეტ ადამიანს ესმის. ხელისუფლებას არ შეუძლია, უზრუნველყოს მოქალაქეების მოსკოვიდან პეტერბურგში უსაფრთხო გადაადგილება, დამნაშავეობის მკვეთრი ზრდის შეჩერება, კორუფციასთან ბრძოლა, რადგან მისი ძალაუფლება კორუფციაზეა დაფუძნებული. იმის გამო, რომ ხელისუფლებას არაფრის გაკეთების უნარი არა აქვს, სხვადასხვა ხერხით სახელმწიფოს დაშლა დაიწყება. ვიღაც საზღვარგარეთ გადასახლდება, ვიღაც თავს მოიკლავს, ვიღაც გალოთდება. იმით, რომ „ომონი“ ხელისუფლებას დაიცავს, არც ხელისუფლების და არც საზოგადოების უსაფრთხოების პრობლემები არ გადაწყდება. ასეთ ვითარებაში კი, უსაფრთხოდ თავს ვერც საზოგადოება იგრძნობს და ვერც — ხელისუფლება.

**კობა ბენდელიანი**

◎ გზა ტაძრისკენ

# უფლის სასწაულის მოლოდინში

## გამარჯობა! ანუ უფლის მარჯვნივ იდექიო, გენაცვალე!

**ორი ათეული წელიწადია, სამშობლოს ტკივილით ცხოვრობს ქართველი. ყოველდღიურობა ჩვენგან მოითხოვს დიდ ჭაპანწყვეტას ლუკმაპურისთვის, შვილების გაზრდისთვის, ერთმანეთის ლხინისა თუ ჭირის გაზიარებისთვის... კვლავ ვცხოვრობთ, ვშრომობთ, ვსწავლობთ, ვაშენებთ... მაგრამ წუთითაც არ გვავიწყდება, რომ დედაქალაქიდან სულ რაღაც ორმოციოდე კილომეტრში „გვდარაჯობს“ ოკუპანტი, რომ არც ახლა, ამ წუთას ვცხოვრობთ უგანსაცდელოდ...**

მაინც რა დავაშავეთ? ვისი რა გვმართებს? — ეს კითხვები ლამის ორი საუკუნეა არ ასვენებს მოაზროვნე საქართველოს. სწორედ 2008 წლის აგვისტომ ცხადჰყო, თუ საბოლოოდ რის მიღება სურდა ჩვენს დიდ მეზობელს. მიიღო კიდეც – ძირძველი ქართული მიწაწყლიდან აბორიგენი მოსახლეობის ეთნოწმენდით, სისხლითა და მახვილით, ჩვენი „მოძმე“ აფხაზებისა და ოსების „დაცვის“ საბაბით...

გაიარა შობა-ახალმა წელმა. მეორე წელი ჩამთავრდა სამაჩაბლოდან და კოდორის ხეობიდან დევნილთათვის. ქვეყნის ოთხივე კუთხეს მიმოფანტული დიდი და პატარა ლიახვის ხეობლები, ადრე ერთ სოფელში და ერთ უბანში რომ ცხოვრობდნენ, ახლა ტელეფონებით თუ მოიკითხავენ ერთმანეთს. ძნელია ცხოვრება უცხო გარემოში, მერე რა, რომ ყველგან საქართველოა – ქართლშიც, კახეთშიც, იმერეთშიც, მესხეთ-ჯავახეთშიც და თბილისსა თუ გორშიც –



სიტყვა „სამშობლოს“, ახლა ვხედავთ, რომ სულ სხვა დატვირთვა ჰქონია – სამშობლო შენი მამა-პაპის ნაბოძები სახლ-კარია, ბაღ-ვენახია, მდინარე და ჭალაა, მთა და ეკლესიაა, სადაც მათ ულოციათ, სამშობლო შენი წინაპრების საძვალეა, ის სასაფლაოა, სადაც ახლა შვილებისგან იძულებით მიტოვებული მშობლები განისვენებენ... მერედა, ვინ გაყო წარსული, აწმყო და მომავალი საქართველო, იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ რახან უძველესი, საუკუნოვანი ქართული სოფლები მძიმე ტექნიკით გადატკეპნა, ქართველთა ნატერფალიც კი ამოშანთა, ასე მოერევა ერის უკვდავ სულს? არა, ბატონებო, ეს ვერც ოსმალომ, ვერც მონღოლმა, სპარსმა და არაბმა მოახერხა და ვერც რუსეთი მოახერხებს ამას, ძალიანაც რომ უნდოდეს, რადგან ქრისტიანი ქართველის რწმენა კლდესავით ურყევია, რადგან ქართველისთვის „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“...

მან, ვინც ახლა, ამ განსაცდელის ჟამს ეკლესიაში დადის, იცის, რა საოცარი სიმშვიდეა უფლის სახლში. რაც უნდა უიმედოდ იყოს, იქიდან ყოველთვის სიხარულით გულავსებული ბრუნდება. წირვა-ლოცვისას მრევლის ტევა არ არის ეკლესიებში. ასე იყო ამ საშობაოდაც. ნამარხულევი, სულიერად და ფიზიკურად განწმენდილი ადამიანები სიხარულით შეეგებნენ უდიდეს საეკლესიო დღესასწაულს.

მაგრამ არიან ისეთებიც, არც ეკლესიის ეზოში რომ არ ერიდებიან ქართველის გაკილვას. კიდევ კარგი, ასეთები ერთეულები არიან. შეიძლება ახლა არც ღირდეს ამის თქმა, მაგრამ მინდა მკითხველს გავუზიარო იმ დიალოგის შინაარსი, რომელიც ამას წინათ თბილისში, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის ეზოში მოვისმინე.



რადგან ეკლესია ქართულ-რუსულია, იქ მორიგეობით მიმდინარეობს წირვა-ლოცვა ქართულ და რუსულ ენებზე. გამოგიტყდებით და, ეს ორმაგი მადლიც მგონია (და ნამდვილად ასეაძ ეკლესიის მრევლისთვის, გვერდიგვერდ დგანან ამ ტაძარში ქართველები და რუსები... მრევლში, მიუხედავად ორ ქვეყანას შორის ასეთი დიდი პოლიტიკური დაპირისპირებისა და მახვილისა, არასდროს მომხდარა უსიამოვნო საუბარი კი. მაგრამ ერთ-ერთი წირვისას, რადგან შიგნით ტევა არ იყო, იქვე ეზოში, ეკლესიის კარებთან, სადაც გალავნის ღიობთან რამდენიმე ხის სკამი დგას ხანდაზმულთა ჩასამუხლავად, ჩუმად ისხდნენ მლოცველნი და ყურს უგდებდნენ ლოცვას. ორი რუსი ეროვნების ქალბატონი ჯერ ხმადაბლა ლაპარაკობდა, შემდეგ კი ისე გაერთო საუბარში, რომ იქ მყოფებმა ყველამ გავიგონეთ: „რა საოცარი ხალხია ეს ქართველები, ჯერ ცეკვებს დაუკვირდი, სულ ხანჯლებს იქნევენ, სულ ომის ხასიათზე არიან. ახლა მაგათი გამარჯობა – ისევ ვილაცაზე გაიმარჯვეო, ისევ ვიღაც დაამარცხეო, რუსები რომ არა, ეგენი დღეს აღარც იარსებებდნენ, ჩვენ შევიფარეთ და გადავარჩინეთ და მადლობასაც კი არ გვიხდიან“...

ირგვლივ ყველა გაჩუმდა. არავინ მიაქცია ყურადღება მათ გამომწვევ საუბარს. თუმცა, იქვე გვერდით, შუახნის, სადაღჩაცმული მანდილოსანი იჯდა და ლოცვების წიგნს კითხულობდა. როგორც ჩანს, ყველაფერი კარგად გაიგონა. აუღელვებლად შეხედა რუსებს და მიუგო:

– შეურაცხყოფას არ მოგაყენებთ. ალბათ, დიდი ხანია ცხოვრობთ თბილისში, მაგრამ გირჩევთ, შესაბამისი ლიტერატურა იკითხოთ და შეიმეცნოთ იმ ქვეყნის ისტორია, რომელშიც ცხოვრობთ. რომ არა ის სიმამაცე და თავგანწირვა, რაც ჩვენს ცეკვებსა და სიმღერებშია გაცხადებული, ვერ გადავურჩებოდით ამდენ მომხდურს. ხოლო ქართველის „გამარჯობა“ სრულიად განსაკუთრებული ფენომენია მსოფლიოში. ის მოყვასს შეხვედრის დროს „უფლის მარჯვნივ დგომას“ უსურვებს. სწორედ ესაა მოკვდავისთვის მართლმადიდებელი სარწმუნოების ქვაკუთხედი. ამაზე კარგი რა შეიძლება გისურვოს ადამიანმა – გამარჯობა, ანუ უფლის მარჯვნივ იდექი მთელი დღე, მთელი ცხოვრება... რა არის ამაში დასაძრახი? მაგრამ, ჩემო ქალბატონებო, განა თქვენ არა გაქვთ ისეთი სიტყვები და გამოთქმები, სადაც ძალიან ბევრი ეროვნების ადამიანი, რუსეთის ბევრი მეზობელი ერთგვარ უხერხულობასაც კი იგრძნობს? – მაგალითად „ვლადი, ვლადეი“ – „ვლადიკავკაზ“, „ვლადივოსტოკ“, უფრო მეტიც – „ვლადიმირ“... ანუ დაიპყარი, დაეუფლე კავკასიას, დაეუფლე აღმოსავლეთს, მთელ სამყაროს... რახან თქვით, მეც გითხარით, რადგან არ ჩანხართ ზედმეტად პრეტენზიულები.

დაახლოებით ასე უპასუხა იმ მადლიანმა ქალმა. კულტურული და საკადრისი პასუხის შემდეგ რუსი ქალები შეუმჩნევლად, უხმაუროდ გაშორდნენ იქაურობას. არავის სურდა იქ ასეთი საუბრის მოსმენა, მაგრამ ალბათ, აგვისტოს ომის შემდეგ ასეთი შინაარსის რეპლიკები იშვიათად თქვენც მოგისმენიათ ტრანსპორტსა თუ საზოგადოების თავშეყრის ადგილებში...

ამ დროს კი ეკლესიის მოძღვარი მრევლს ტოლერანტობისკენ, სიმშვიდისკენ, ურთიერთსიყვარულისა და სიკეთისკენ მოუწოდებდა და ქადაგებდა ადამიანის მიწიერ დანაშაულებზე. რომ ამ ქვეყნად არიან მადლიერი და უმადური ადამიანები. მადლიერნი ღვთისგან ბოძებულ ტალანტს ღვთისავე სამსახურში აყენებენ, უმადურნი კი – ბოროტისაში...

...გაიარა შობა-ახალმა წელმა. კვლავ იმედით შეაბიჯა მომავალში მტრისგან დაჯიჯგნილმა საქართველომ. ეს ცხოვრება ჩვენი თაობისთვის არის მძიმე და გაუსაძლისი, ჩვენთვის, ვისაც მთელი ცხოვრება საცხოვრებელი ადგილიდან გვდევნის რუსეთი, თორემ გორთან ისევ ისე ჩამოქუხს ლიახვი, ისევ ისე თენდება კოდორის სოფლებშიც, ისევ ისე ლაპლაპებს მყინვარწვერი კავკასიონზე... და ვერც ვერავინ ვერასდროს ვერსად წაიღებს ამ მიწას, წყალს და მთას. გავა დრო, ალბათ, უფალი სათანადოდ მიუზღავს კეთილსაც და ბოროტსაც – კეთილს, სამამულე ჯვრის ღირსეულად ტარებისთვის, ბოროტს – ეშმაკის მსახურებისთვის.

**და არის საქართველო უფლის სასწაულის მოლოდინში. წუთისოფელიც ხომ ზღაპარივითაა, სადაც კეთილი აუცილებლად იმარჯვებს!**

**ლია ჭილაძე**

◎ ინფორმაცია

## ზუგდიდსა და სოხუმს შორის მიმოსვლა დაივიწყეთო

**გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი საქართველოში მარკო ბიანჩინი სოხუმში აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი შამბას შეხვდა.**

**შეხვედრაზე კონფლიქტის ზონაში არსებული ვითარება და ჟენევაში 28 იანვარს დაგეგმილი შეხვედრის დღის წესრიგი განიხილებოდა.**

**სერგეი შამბას განცხადებით, აფხაზური მხარე ჟენევის შეხვედრებში მონაწილეობას აქტიურად გააგრძელებს.**

**შამბამ კომენტარი გააკეთა ასევე ავტობუსის რეისზე აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიასა და ზუგდიდის რაიონს შორის. მისი განცხადებით რეისის დანიშვნის შესაძლებლობა ამ ეტაპზე საერთოდ გამორიცხულია. ამის მიზეზად შამბამ ე.წ საზღვრის ჩაკეტვა და რეგიონში შექმნილი ვითარება დაასახელა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ გავეცნოთ ჩვენებურს

## უსკანდალო თუა არხი, არც უყურებს ასეთს ხალხი...

**რუსეთის ტელეარხი HTB-ს პრაიმული მაუწყებლობის (პრაიმული ნიშნავს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს – თ. ე.) დირექტორი ნიკოლოზ კარტოზია არცთუ მყუდრო ოთახში მოწყობილა, სადაც რა გინდა, რომ არ იყოს (ცენტრში ბრინჯაოსფერი თაბაშირის სტალინით)... – დიდი კაბინეტია და მთელი რეკვიზიტი ჩემთან მოაქვთო, განმარტავს. სწორედ აქ ეწვია დირექტორს სასაუბროდ „КП“-ს ჟურნალისტი. გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს ბატონი ნიკოლოზის პასუხებიდან.**



– ჩვენი საზოგადოება დიდი ხანია სერიოზულადაა გახლეჩილი სტალინისაგან. ამას „ცივ“ სამოქალაქო ომსაც კი ვუწოდებდი; და „ცხელში“ რომ არ გადაიზარდოს, ერთმანეთის არგუმენტებს უნდა ვუსმინოთ... სჯობს ტელესტუდიებში ვიდავოთ, ვიდრე ბარიკადებზე შუბებით წავიდეთ. ახალგაზრდებმა კი დაე, მოგვისმინონ, მაგათთვის ხომ გინდ სტალინი ყოფილა, გინდ ჰარი პოტერი... სწორად თქვა თინა კანდელაკმა – ნულოვანი (200...იანი – თ. ე.) თაობისათვის ის უკვე საშიში აღარ არისო...

– ჩემთვის HTB შეუთანხმებელთა ტელევიზიაა. ჩვენ არ უნდა ვიყოთ საფონე ტელეარხი. „ჩვენ არა ვართ ექიმები, ტკივილი ვართ“ – ვიმეორებ კლასიკოსის კვალდაკვალ. რეცეპტების გამოწერა ჩვენი საქმე არ არის, ჩვენი საქმე მტკივანი ადგილის ჩვენებაა. ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ გვტკივა. ჩვენ სოციალური ცხოველები ვართ, არცთუ გულგრილნი და დიახაც, პროფესიონალები; ვიცით, საინტერესოდ როგორ გავაკეთოთ. ეგებ ამიტომ გვსაყვედურობენ ცინიზმს, სკანდალებს; უსკანდალო არხი აბა რა არხია! ყველაფერი რომ უნიჭოდ, მოსაწყენად, დუნედ იყოს, მაშინ კი არ დაგვიწყებდნენ გაკიცხვას...

– თქვენ ამბობთ, HTB-ს პოლიტიკა მაყურებლის პროვოცირებაში მდგომარეობსო? ნებისმიერი აცრაც ხომ პროვოკაციაა. სამედიცინო მეტაფორას თუ გავაგრძელებთ, ჩვენ აცრას ვეწევით. პრობლემა რომ შენიშნონ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს გამოკვეთილად, ძლიერად, მარჯვედ. ყველასი და ყველაფრისათვის გაკრიტიკება კი ჩვენი ეროვნული ხასიათის ნაწილია. არ არის თოვლი? როდისღა მოვა? წამოვა და – ესეც ცუდია...

– გეთანხმებით, რომ ქვეყანაში მაინცდამაინც ბევრი არაფერი იცვლება. მოხელეები ბოლო წლებში განსაკუთრებით სქელკანიანები გახდნენ. ყველაფერი ცის ნამი ჰგონიათ; ოღონდ მაგათ ფოკუსებზე თუ არ ვილაპარაკებთ, ყველაფერი კიდევ უარესად იქნება...

– ტელევიზორი უნდა აღზრდიდეს თუ მაინც ყოფით ხელსაწყოდ უნდა დარჩეს? გაგახსენებთ, რომ არის ძველი „საარხო“ ფორმულა – ინფორმირება, გართობა, განათლება. ეს ყველაფერი ჩვენ გვაქვს. ტელევიზიაში განმანათლებლობაც საკმარისადაა, თუმცა სინამდვილეში ეს მეტწილად ბნელეთის მოციქულობაა. მეცნიერება გარემომცველ სინამდვილეს იმისი ადეკვატური ენით აღწერს, რთულით; რატომ გამოძვრნენ ზღარბები სოროებიდან? იმიტომ, რომ ქვეყნიერების აღსასრული ახლოვდება. სერიოზულად თუ დაიწყებ ახსნას, მოსაწყენი ხდება ფართო აუდიტორიისათვის. იმ ფაქიზ საზღვარზე უნდა გაიარო, როცა არ ვცრუობთ მეცნიერების წინააღმდეგ, მაგრამ ამასთანავე ვხსნით პოპულარულად და საინტერესოდ... შენზე ნაწყენი რომ არ რჩებოდნენ, წყნარი უნდა იყო, უფერული, უბადრუკი, საშუალო. ჩვენ კი ამნაირები არა ვართ. ჩვენ მაგარ ემოციებს ვიწვევთ...

**ამრიგად მკითხველს კიდევ ერთი რუსეთელი ჩვენებური „გამოვუჩხრიკეთ“; რაც გინდათ იფიქრეთ და, მოსკოვში ქართველებს არ უშლიან უფროსობას, გამგეობას, დირექტორობას, მინისტრის მოადგილეობას... ასეა ეს...**

**მოამზადა**
**თამაზ ეზანოიძემ**

ხიფათიანი ჟამი

# „დახარისხებული“ ხელოვნება...

**დაჰკავი და იბატონე — ეს ძველთაძველი შეგონება დღევანდელ საპოლიტიკო ასპარეზზე ისე გამეფებულა, დაუპყრია ირგვლივ ყოველი, თითქოსდა, ჩვენს გათითოკაცებულ ყოფაში პოზიცია-ოპოზიციის დაპირისპირება არ კმაროდა, ახლა მწერლობა და ხელოვნება აღმოჩნდა შავ დღეში. დღე არ გავა, რომელიმე მწერალმა თანამოკალმე აუგად არ მოიხსენიოს, ანდა ხელოვანმა — თავისივე კოლეგა... ამ ყველაფერს შესანატრი ოპერატიულობით „აჟღერებენ“ ხელისუფლების ბრმად მორჩილი ტელეარხები. იმის მაგივრად, რომ დაინტერესდნენ, რა უჭირს მწერალს ან ხელოვანს, პირიქით — რაც შეიძლება მეტი დასაპირისპირებელი საკბილო იპოვონ, ესაა მათი მიზანი.**

ჩვენი ყოფის შემხედვარე ილია, ცოცხალი რომ იყოს, მართებულად იტყოდა — **„ეხლანდელს დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და ადამიანის ლოღიკამ გზა შეიშალა, თითქოს ან მართულები მოეშალა, ან ღერძი გაუმრუდდაო. სულ ყველაფერი აირივ-დაირივა, ტყუილი და მართალი ველარავის გაურჩევია... ყალბი ხალასად გადის და ნაძირალა თავანკარად“...**

თუ მავანი არ დამეთანხმება და იტყვის, ეს ასე არ არისო, შევახსენებ ამ რამდენიმე დღის წინანდელ სატელევიზიო სიუჟეტს — ალექსანდრე ბასილაიას ხსოვნის საღამო მოსკოვში უნდა გაიმართოს. იქ კი, გარდაცვლილი კომპოზიტორის უსაყვარლეს ანსამბლ „ივერიიდან“ თურმე გამგზავრებას აპირებს ნოდარ ტატიშვილი (გუშინ მან ტელევიზიით თქვა, რომ მანაც „გადაიფიქრა“ მოსკოვში წასვლა), თემურ წიკლაური კი მოსკოვში დაგეგმილ საღამოში მონაწილეობის წინააღმდეგია, ანუ ერთი ანსამბლის წევრებს შეგნებულად აპირისპირებენ ერთმანეთს და მათდა უნებურად, პოლიტიკას უკავშირებენ მათ სახელებს.

აი, ასეთ დონეზე მსჯელობენ ტელეეკრანზე. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ხელოვანთა ენაპირით ხელისუფლების პოზიცია ხმოვანდება: ყველაფერი, რაც რუსეთს უკავშირდება, დასაგმობია, რაც — ვაშინგტონს, ან ადის-აბებას, მოსაწონი და ტაშის დასაკრავი. იმის მაგივრად, რომ ნელ-ნელა დათბეს ურთიერთობა მოსკოვთან, კიდევ უფრო ვძაბავთ და ვართულებთ ყველაფერს. თანაც, ხელოვნებას საზღვრები არა აქვს, ვისაც სად სურს, იქ უნდა იღვაწოს და იმუშაოს. აქაოდა, პაატა ბურჭულაძემ მოსკოვში რატომ იმღერაო, ძალიან მალე მას ლადო ათანელის ფონდი „თანადგომა“ დაუპირისპირეს. აი, ასე „ახარისხებს“ ხელისუფლება ვითომდა თავისიან და არათავისიან ხელოვანებს. შეაბეზრეს თავი ხალხს ერთი და იგივე კითხვით — აუცილებელია თუ არა მოს-



კოვში კონცერტის გამართვა? განა იმ მოსკოვში ოჯახის სარჩენად გადახვეწილი ათიათასობით ქართველი არ ცხოვრობს, რომელთაც ენატრებათ ქართული ლექსი, სიმღერა?

ახლა მავანნი დავით აღმაშენებლის პრემიას გადასწვდნენ, ვინაიდან მას რუსეთში მცხოვრები ქართველი აფინანსებს, ეს პრემია მიუღებელიაო. დიახ, რუსეთში მცხოვრებმა ქართველმა დააფუძნა სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული პრემია და ჩვენი დიდი მეფის სახელი უწოდა. კონკურსის მიზანია: **საზოგადოებრივი ინტერესის გაღრმავება საქართველოს ისტორიისა და ისტორიულ თემაზე შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებისადმი, ღვაწლმოსილ მამულიშვილთა ცხოვრების გაშუქება და მათი როლის წარმოჩენა, — კონკურსის კეთილშობილური და პატრიოტული მიზანი თვალნათელია. ვისაც სურს, მიიღოს მონაწილეობა, ვისაც — არა, ნუ მიიღებს, ბატონო.**

მაგრამ აქაც დაპირისპირების ტალღა ააგორეს. სასაცილოა, როცა მავანს თავი დიდი პოეტი ჰგონია, სხვას კი — კოლეგას უნიჭოდ მიიჩნევს, ამ კონკურსში მონაწილეობის გამო. ვინ უნიჭოა და ვინ კიდევ — ნამდვილი შემოქმედი, ამას დრო და ხალხის სიყვარული განსჯის. იმასაც — ზოგიერთი მწერლის საქციელს, ხელისუფლების მაამებლობის გამო უარს რომ ამბობს კონკურსში მონაწილეობაზე და უკან გამოაქვს წარდგენილი ნაწარმოები. ამბობენ, ამ კატეგორიის მწერლებმა სავაჭრო თემად აქციეს ეს პრემია და მათ ხელისუფლება ფინანსურ დახმარებას შეჰპირდაო...

ასე რომ, ქართულ მწერლობასა და ხელოვნებაში „ინდაურების თემა“ გრძელდება. სადაც უფრო მსუქანი ინდაური ეგულებათ, იქით გარბიან ჩვენი უპრინციპო მწერლები. მართლაცდა, ილიასი არ იყოს, **„ადამიანის ლოღიკამ გზა შეიშალა“...** ქვენა გრძნობანი ზენა გრძნობათა ადგილას გამეუფლნენ“...

დიდი ილია იმასაც ამბობდა: სახელმწიფომ ადამიანი **„ცალკედ თვის ყურმოჭრილ ყმად“** კი არ უნდა გაიხადოს, არამედ პირიქით — ადამიანს **„თავისა საკუთარი უფლება“** უნდა შერჩესო, ანუ ერთმანეთში სახელმწიფო, საზოგადოება და ადამიანი — თითოეული მათგანი **„სრულის კუთვნილის უფლებით და მოვალეობით“** უნდა მოთავსდესო.

ჩვენი ცხოვრების შემხედვარეს სიმწრით გაგეცინება — მავანთ სურთ, ადამიანი პოლიტიკის ყურმოჭრილ მონად აქციონ, რომ, რასაც ჩასძახებენ, ის ამოიძახოს. სამწუხაროდ, ასეთი ფენა მწერლებისა, მომღერლებისა თუ მხატვრებისა უკვე გაჩნდა... ისინი ყველანაირად პრივილეგირებული არიან. მალე, ალბათ, ასეთი სახელწოდების პარტიასაც დააფუძნებენ: „ჩემი გმირი გიწოდე“...

**ხუმრობა იქით იყოს და... ამ ძიძგილაობაში მამული განზე გვრჩება, რომელიც საპატრონოა და დიდ სახელმწიფოთა ინტერესების მარწუხებიდან დასახსნელი... „მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია“ საპოვნი...**

**ნატა ნიბლაძე**

„კვირის პალიტრის“ სახალხო პროექტი

# „გზავნილი მომავალში“...

**„კვირის პალიტრის“ პროექტის „გზავნილი მომავალში“, ეროვნულ არქივში 2010 წლის წერილების სკივრი საზეიმოდ გაზეთის რედაქტორმა გოგა თევდორაშვილმა გახსნა. ანსამბლ „ერისიონის“ „მრავალჟამიერი“ უფრო მეტად აძლიერებდა ემოციურ ფონს.**

„სკივრში“ 2000 წლიდან 2546 წერილი ინახებოდა, რომლებიც შვილების, შვილიშვილებისა და ახლობელი ადამიანებისადმი იყო მიძღვნილი. გზავნილებს შორის ერთ-ერთი წერილი მაშინდელი გაზეთ „კვირის პალიტრის“ მთავარი რედაქტორის ლალი გუნთაიშვილის მიერ იყო მოწერილი, რომელიც ახლანდელ რედაქტორს ეკუთვნოდა.

სტუმრებს შორის იყვნენ წერილის ავტორები. ადრესატი გზავნილისა, რომელიც სახელდახელოდ შეირჩა და წაიკითხეს, ის პიროვნებაა, რომელიც 2010 წელს საქართველოს პრეზიდენტი იქნებოდა. **„აი, მე 2000 წლის მიწურულს, ჩემი რწმენით ვხედავ, ასე მგონია, თქვენ წერილს კი არ გწერთ, არამედ გესაუბრებით.**

**უფალმა მოგვცეს ქართველ ერს ძალა ღვთის უსაზღვრო სიყვარულისა, რწმენისა, გამძლეობისა და მართლმადიდებლობის შენარჩუნებისათვის. მაშინ კი მჯერა გათბება ჩვენი — ქართველთა გაყინული გულები და ჭეშმარიტად აყვავდება საქართველო.**

**და ეს ყველაფერი კი, ღვთის განგებით, თქვენ უნდა შეძლოთ, თქვენ გევალებათ...**

**გზა გაგინათოთ უფალმა, ამინ!“**

წერილის ავტორი მაშინ 21 წლის გახლდათ, მან არც კი იცოდა, რომ ადრესატი მიხეილ სააკაშვილი იქნებოდა. საკითხავია, თუ მიაღწევს პრეზიდენტამდე, მაგრამ როგორც „კვირის პალიტრის“ რედაქტორმა აღნიშნა, ყველა წერილი 25 იანვრიდან ანბანის მიხედვით გამოქვეყნდება.

**გოგა თევდორაშვილი:** „სასიხარულოა, რომ ამ პროექტმა გაამართლა. ეს კონიაკივით არის, რაც უფრო ძველდება, მით უფრო ფასეული




ხდება. კიდევ უფრო საინტერესო იქნება 2025 წლის სკივრის გახსნა, გული მწყდება, რომ როცა ეს სკივრი დაილუქა, წერილი არ დამიწერია“.

ეროვნული არქივის დირექტორმა თეონა იაშვილმა სურვილი გამოთქვა, რომ სკივრი, რომელიც დღეს გაიხსნა, შეივსოს წერილებით და ეროვნულ არქივში 2020 წელს გაიხსნას.

**სახალხო პროექტის „გზავნილი მომავალში“, იდეა პროექტ „ეტალონის“ ავტორს გოჩა ტყეშელაშვილს ეკუთვნის. მისი განცხადებით, როდესაც ეს იდეა გაუზიარა ლალი გუნთაიშვილს, მოეწონა და მას შემდეგ თვით ქალბატონი ლალი ედგა სათავეში. სხვადასხვა წლით დათარიღებული სკივრი 2000 წელს დაილუქა. პირველი 2001 წელს, მეორე კი 2005 წელს გაიხსნა, ხოლო მესამე — 2010 წელს.**

**თინათინ ბორცვაძე**

ინფორმაცია

## შეიქმნა დევნილთა მხარდამჭერი ქსელი

**საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია რეგიონებში დევნილების მხარდამჭერ ქსელს ქმნის. პროექტის „ჩვენ ერთად შევძლებთ“ პრეზენტაცია დღეს, თელავში, სასტუმრო „ალაზნის ველის“ საკონფერენციო დარბაზში გაიმართება. პრეზენტაციის შემდეგ ქსელის წარმომადგენლები თელავში კომპაქტურად მცხოვრებ დევნილთა დასახლებას ეწვევიან.**

**როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ასოციაციის წარმომადგენელმა ქეთევან ფაცაციამ აცნობა, პროექტის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელ თემთა ინტეგრაცია. ასევე, მათი მხარდაჭერა ადგილობრივ, რეგიონალურ და ცენტრალურ დონეზე საკუთარი ინტერესების გახმოვანებისა და სოციალურ- ეკონომიკური საჭიროებების მოგვარების პროცესში ჩართვის გზით.**

ჯი-ეიჩ-ენი

რა ენა წახდეს...

# „ჩაძირული“ და „ჩამძირავი“ სიტყვების შესახებ

**მოდურობა, რასაკვირველია, მეტყველებასაც სჩვევია; კაი ხანია, რაც ტელეეკრანზე და პრესის ფურცლებზე გაბატონდა სიტყვა „ფორმატი“, რომელმაც სულ გადაფარა და ჩაძირა სიტყვა „ფორმა“; არადა, სადაც სამართალია, ყველა იმ შემთხვევაში, როცა „ფორმატს“ ხმარობენ, შესაფერისი სწორედ „ფორმაა“.**

მივმართოთ „უცხო სიტყვათა ლექსიკონს“ და თუ ამჟამინდელი უმოწყალო რეფორმები იმასაც არ შეხებია, ამოვწეროთ სათანადო განმარტებები: **ფორმატი** — წიგნის ფურცლის, ბარათის ზომა; წიგნის ზომა; ანაწყობის სიგრძე და სიმაღლე; **ფორმა** — რისამე გარეგნული მხარე; რისამე ტიპი, სახეობა, რისამე სახესხვაობა.

ახლა რამდენიმე მაგალითს მოვუხმოთ ტელეეკრანიდან და გაზეთებიდან: „ამ ფორმატით პროგრამის განხილვა პირველი იქნება“; „რა ფორმატით გამოვა პრეზიდენტი პარლამენტში?“; „დავით კიკალიშვილი „პოსტ სკრიპტუმს ახალი ფორმატით წაიყვანს ხვალიდან“; „აქედან ჩანს, თუ რამდენად საჭიროა მოლაპარაკების ფორმატის შეცვლა“; „ასპარეზობა ჩატარდა გამოვარდნის ფორმატით“ და არაერთი სხვა. მკითხველს ვთხოვ, რომ იმ განმარტებების გახსენებით „ფორმატი“ ყველა მაგალითში ფიქრში „ფორმით“ შეცვალოს და შეხედოს, რომელი უფრო მართებულია. ეტყობა, ბევრ „მომხმარებელს“ ფორმა მხოლოდ მაისური და ტრუსი ჰგონია და იმიტომ გადასულა ფორმატზე. გასაკვირია, რომ პროფესიულობით გამორჩეული რუსეთული გაზეთებიც ფორმატზე გადასულან.

ასევე ჩაიძირა და დაგვავიწყა **„მიპატიჟებამ“ (მოპატიჟებამ) „მიწვევა“ (მოწვევა)**; არადა, ისინი თავ-თავის ადგილას უნდა იხმარებოდნენ. დაპატიჟება სადილზე ან დღეობაზე უნდა, მაგრამ გამოჩენილ მეცნიერს საერთაშორისო კონფერენციაზე კი არ პატიჟებენ, იწვევენ; ხოსე კარერასი ბათუმში, საახალწლო კონცერტზე კი არ დაპატიჟეს, მოიწვიეს (მართალია, 4 მილიონ დოლარად, როგორც ამბობენ-ძ; რუსეთის პრეზიდენტი უნდა მოვიწვიოთ თბილისში და არა მოვიპატიჟოთ (ჯერჯერობით ძნელად წარმოსადგენი რამ — ორივე ფორმით...ძ.

„ძნელად“ ვახსენე და აქვე სათქმელად, ეს „ძნელი“ სავსებით „ჩაყლაპა“ შინაარსით აგრე მახლობელმა „რთულმა“. აქაც „ნიუანსობრივი“ ხმარება გვმართებს. „გულზე ძნელი ოპერაცია გაუკეთდაო“ არ ივარგებს — რთული ოპერაცია სჯობს; სამაგიეროდ, უარი უნდა ვუთხრათ ნათქვამს „ამ გზაზე რთულად თუ ვინმე გაივლისო“ და სწორ ფორმას მივმართოთ — „ამ გზაზე ძნელად თუ ვინმე შეგვხვდება“. შეიძლება ისეთი მაგალითის აღებაც, როცა ორივე, ძნელი და რთული, ტოლფარდია: ძნელი გამოთვლები შეასრულა და რთული გამოთვლები შეასრულა...

ასე მოდურად ქცეული „ტელევიზიებიც“ უსწორო ფორმა მგონია: ტელევიზია ისედაც კრებსითი სიტყვაა და მრავლობითს არ საჭიროებს; არადა, „ტელევიზიებმა“ ჩაძირა და დაგვავიწყა ტელეარხები თუ ტელეკომპანიები...

სხვა ჩამძირავი სიტყვებია **„მიმართებით“** (შესაბამისად, ჩაძირულია **„მიმართ“** ან **„დაკავშირებით“**ძ; **„სამწუხაროდ“** (სულ მივივიწყეთ **„დასანანად“**ძ — ღიმილისმომგვრელია, ტელედიქტორი რომ მეუბნება: სამწუხაროდ, გვარი არ მაგონდებაო; სამწუხარო ისედაც ბევრი გვაქვს და შენ თუ გვარი დაგავიწყდა, მე, მაყურებელსა და მსმენელს ნუ დამამწუხრებ, თუ მაინცდამაინც, უბრალოდ თქვი „დასანანადო“...

დასანანად, კიდევ არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება „გადამყლაპავი“ და „გადაყლაპული“ სიტყვების რიგიდან, ოღონდ ეს სხვა დროს იყოს...

**თამაზ ებანოიძე**

## დროის ანატომია

**დარწმუნებული ვარ, ეს ამბავი — ბენდუქიძის დათუჩა ტორებით გამოწვეული მომჭირნეობა, — არა მხოლოდ მკითხველებს, თვით იმ მთავრობის ბინადართაც განაცვიფრებს, სადაც წლების მანძილზე რბილ სავარძელში მოკალათებული სახელმწიფო მინისტრი ქვეყნის ეკონომიკას დიდი გულმოდგინებითა და მდიდარი საბიზნესო გამოცდილებით დაბეჯითებით ანგრევდა. მაგრამ, დროის ანატომიას სად გავექცევით. მაშინ, ხელისუფლებაში შიგნით მყოფს, პოლიტიკური ქარი საითაც უბერავდა, მძიმეწონოსან მოხელეს იქითკენ მიაქანებდა, ახლა გარედან მაცქერალ ნამინისტრალს ქარმა სხვა მხრიდან შემოუბერა და, ბუნებრივია, მანაც ორიენტაცია მყისიერად იცვალა.**



# ბენდუქიძე მთავრობას მომჭირნეობას ასწავლის!

მაინც რას ედავებოდნენ, მაშინდელ „ქარწაღებულ“ მინისტრს ოპონენტები? შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ ეს მამაცხონებულები ბენდუქიძეს სწორედ იმაში სდებდნენ ბრალს, რითაც ჩვენი მაღალრეიტინგული პრეზიდენტი და ხელისუფლების მაღალჩინოსნები უკვე წლებია, მთელ მსოფლიოში ტრაბახობენ. ეს გახლავთ ბენდუქიძის თამადობით ქვეყნად „წარმატებით განხორციელებული“ რეფორმები ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობაში, განათლებაში, სამედიცინო სისტემაში, რიგ სხვა დარგებში, მილიონებით დახუნძლული ინვესტიციების მოზიდვა, ენერგეტიკული და სხვა სტრატეგიული ობიექტების სარფიან ფასებში გაყიდვა და რა აღარ, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტისა და ამ რეფორმების ავტორთა შემოსავლები ზღაპრულად გაზარდა, ხალხს კი უკანასკნელი გროშებიც დააკარგვინა.

უფრო მეტს გეტყვით, ეს უსირცხვილოები (ოპოზიციური პარტიების ლიდერები და კრიტიკულად განწყობილი სხვადასხვა ჟურის ექსპერტებიძ ხშირად არღვევდნენ კამათის ეთიკურ ნორმებს და ბენდუქიძეს პირდაპირ პირში ახლიდნენ: ყველაფერში დამნაშავე შენა ხარ, პირადად შენ გარყვენი და დააქციე ქართული ეკონომიკაო, არაფერი აღარ დაუტოვე ქვეყანას, ყველაფერი — მიწა, წყალი, მთა, ბარი, მდინარეები, ჰესები თუ თესები ფულად აქციე და ჯიბეში ჩაიტენეო.

თქვენ წარმოიდგინეთ, ყველა ეს ბრალდება „მტკნარი სიცრუე“ გამოდგა. საქართველოს პირველი ლეიბორისტის შალვა ნათელაშვილის დაჟინებული მოთხოვნით, თურმე პროკურატურამ გაჩხრიკა ბენდუქიძის ბინა და, როგორც ტელევიზიით გვაცნობეს, იქ ნამინისტრალის მიერ გაყიდული მთები და მდინარეები, ტყეები და ჰესები უკლებლივ ხელუხლებელი აღმოჩნდა(!ძ.

რაღა ექვთიმე თაყაიშვილი და რაღა კახა ბენდუქიძე, ეს უკანასკნელიც თურმე თვალისჩინივით არ უფრთხილდება სამშობლოს საგანძურს?!

ჰოდა, ყოველივე ამის შემდეგ სულაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ბენდუქიძემ თავს უფლება მისცა და პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში („კვირის პალიტრა“, 18-24 იანვარი, 2010ძ სახელმწიფო თანხების მომჭირნეობით ხარჯვის აუცილებლობაზე ალაპარაკდა. მინისტრყოფილი გულისტკივილს ვერ მალავს იმის გამო, რომ ქვეყანაში უამრავი წვრილმანი ობიექტი (მსხვილმანს რას გაუშვებდა!ძ თურმე ჯერაც გაუყიდავი დარჩა. შემდეგი საკითხი, რომელიც ბენდუქიძეს ტვინს უბურღავს, საბიუჯეტო ხარჯებია. ის მთავრობას პირდაპირ, აშკარად და ღიად არ უტევს, მაგრამ მოკრძალებულ კითხვას მაინც სვამს: „თუ 2010 წელს შეიძლება გვქონდეს წელზე ქამარშემორტყმული ბიუჯეტი, რატომ არ შეიძლებოდა, იგივე გაგვეკეთებინა 2009 წელსო?“ უფრო ადრეულ წლებზე დუმილს ამჯობინებს, ალბათ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თავის სარგო ქამარს, მთელი დუნია რომ შემოევლო, ვერსად მიაგნებდა!

საკუთარი თავის კრიტიკაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ დიდნამოხელარი დღევანდელი მთავრობის უყაირათო საქციელითა და ხელგაშლილობით რომ უკმაყოფილოა, ამას უკვე ვეღარა მალავს. ყველაფერ იმას, რაც ბიუჯეტის თანხებით კეთდება, შეიძლება უაზრო ხარჯი არ ვუწოდოთ, ამბობს ბენდუქიძე, მაგრამ ხშირად ამის არგაკეთება სახელმწიფოსთვის შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყოო. ნათქვამის განსამტკიცებლად და ხელისუფლების შესაგონებლად იძულებულია, მაგალითიც მოიშველიოს:

არის შემთხვევები, როცა „რამდენიმე პატარა სოფლისთვის შენდება ორპირი ბეტონის ან ასფალტის გზა. ცხადია, იქ მცხოვრებთათვის ეს ძალიან კარგია, მაგრამ 300-ოჯახიანი სოფლისთვის, სადაც დღეში, ყველაზე მეტი, 10 მანქანა მოძრაობს, შეიძლებოდა აშენებულიყო არა 15 მილიონის ღირებულების, არამედ ხრეშის გზა, რომელზეც ეს 10 მანქანა უპრობლემოდ იმოძრავებდა, ფული კი დაიზოგებოდა. ეს ერთ-ერთი მაგალითია, თუ როგორ შეიძლებოდა 100-150-200 და ასე შემდეგ მილიონის დაზოგვა“, — დასძენს ჯიბემილიარდიანი ბენდუქიძე.

ისე, კაცმა რომ თქვას, მართალს ამბობს ბენდუქიძე, რასაც ამბობს, მაგრამ რატომ მაშინ არ იყო ამ ჭკუაზე, როცა ქვეყნის საერთო გობიდან „სალაფავს“ დღევანდელი მთავრობის თავკაცებთან ერთად მიირთმევდა? ანდა მომჭირნეობის გაკვეთილს რომ უტარებს ხელისუფლებას, ვითომ არ იცის, რა დონისა და მომზადების „მოსწავლეები“ ჰყავს? ამ ორიოდე დღის წინათ ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა, მისთვის ჩვეული ფანატიზმითა და სიჩაუქით, ანაკლიიდან და ფოთიდან მესტიასა და ჭუბერამდე ჩქაროსნული გზების გაყვანის, აეროდრომებისა და სათხილამურო ტრასების ულტრათანამედროვე ინფრასტრუქტურით გაწყობის მომხიბლავი და თვალწარმტაცი სურათი დაგვიხატა. ვინმემ დაიანგარიშა კი, ღატაკი ქვეყნის ბიუჯეტს ეს რამდენი დაუჯდება ან იქიდან მიღებული უკუგება რა ოდენობისა იქნება? რამდენჯერ შეიძლება ხელისუფლებას შეაგონო ერთიდაიგივე — ის თანხებს ხარჯავს არა სახელმწიფო, გრძელვადიანი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ტაქტიკური პოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად. ეს არის პიარკომპანიები, მერკანტილური ინტერესები, კორუფციული გარიგებები და სხვა. თანხები ძირითადად ვირტუალური კეთილდღეობის სურათების შექმნაზე იხარჯება და არა რეალურ კეთილდღეობაზე, შესაბამისად, ვერ ვითარდება ეკონომიკა.

ერთიღა დაგვრჩენია — ვურჩიოთ ხელისუფლებას, რადგან ბენდუქიძის დასარიგებელი გახდა, გონს ახლა მაინც მოეგოს, გზიდან ჩამოეცალოს იმათ, ვინც ქვეყანას რეალური განვითარების პროგრამით წაიყვანს.

**ოთარ ხუციშვილი**

## კავშირგაბმულობა

**კომპანია „გაერთიანებულ ტელეკომში“ შარშანდელი წლის შედეგები შეაჯამეს. მასმედიის თანდასწრებით გამართულ შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აგერ უკვე მეოთხე წელია, 2006 წლიდან მოყოლებული, კომპანია ქვეყნის მასშტაბით მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს.**

კერძოდ, პროექტის — „160 ათასი პორტის“ — ფარგლებში წარმატებით დასრულდა ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის პროცესი. გარდა ამისა, შარშან არსებული რესურსების ოპტიმიზაციის შედეგად ციფრული სატელეფონო სადგურები დამონტაჟდა და ამოქმედდა **თერჯოლაში, ცაგერში, წყალტუბოში, ვანში, საგარეჯოში, საჩხერეში, ადიგენში, მარტვილში, ჩოხატაურსა და ფოთის ნაბადას დასახლებაში.** ანალოგიური სადგურების მომსახურებით სადღეისოდ 50 ათასი აბონენტი სარგებლობს, რომელთა ციფრულ სატელეფონო სადგურებზე გადაყვანის პროცესი პროექტის — „50 ათასი პორტის“ — ფარგლებში, წლეულს, წლის დამლევისთვის დასრულდება.

# 50 ათასი „პორტის“ სიკეთე

აღნიშნულ სამუშაოთა გარდა, კომპანიის ტექნიკურმა ბლოკმა, კერძოდ, „მაგისტრალ ტელეკომმა“, ფიქსირებული ქსელისა და CDMA დეპარტამენტებმა, „თბილისი-ტელეკომმა“ და რეგიონალური ფილიალების ტექნიკურმა სამსახურმა, ქსელის მოდერნიზაციის მიზნით, დაგეგმეს და განახორციელეს კიდევ სხვადასხვა ტექნიკური ტიპის სამუშაო, რომელმაც თითქმის მთელი ქვეყნის ტერიტორია მოიცვა. ძირითადი აქცენტი საერთაშორისო და საქალაქთაშორისო კავშირების გაუმჯობესებასა და ADSL ტექნოლოგიის განვითარებაზე გაკეთდა.



საგულისხმოა ისიც, რომ 2009 წელს დამატებით განხორციელებულმა პროექტებმა განვითარების შესაძლებლობა მისცა ყველა იმ პროდუქტს, რომელიც კომპანიას სადღეისოდ სატელეკომუნიკაციო ბაზარზე აქვს შეტანილი. შეკრებაზე, სხვათა შორის, აღინიშნა ისიც, რომ „ქალაქის“ ტელეფონს რეგიონებში ჯერაც არ დაუკარგავს აქტუალობა. მეტიც, **მნიშვნელოვნად გაიზარდა ფიქსირებული სატელეფონო ქსელის აბონენტთა რაოდენობა. გარდა ამისა, ამ ეტაპზე ინტერნეტ-სერვისი ქვეყნის მასშტაბით დაახლოებით ორმოც ქალაქს მიეწოდება. ინტერნეტით მოსარგებლე აბონენტთა ოდენობა კი შარშან, წინა წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა, ხოლო რეგიონებში მათ რიცხვმა ოთხჯერ მოიმატა. ამასთან, ითქვა ისიც, რომ 2009 წელს დაფარვის ზონებს ასევე დაემატა სამცხე-ჯავახეთი და საკურორტო ზონები.** სიგნალის გასაუმჯობესებლად მთელ რიგ ქალაქში დამონტაჟდა დამატებითი საბაზო სადგური, ხოლო **უკაბელო ქსელის აბონენტთა რაოდენობა, ფაქტობრივად, გაორმაგდა.**

კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის თეონა წერეთელის თქმით, სამივე სატელეკომუნიკაციო პროდუქტის გამართულ მუშაობას, ერთი მხრივ, განაპირობებს მონაცემთა გადაცემის უზრუნველსაყოფად ფილიალ „მაგისტრალ ტელეკომის“ მიერ გაწეული სათანადო სამუშაოები, მეორე მხრივ კი ამას ხელი შეუწყო კომპანია „გაერთიანებული ტელეკომის“ სხვადასხვა ტექნიკურ დეპარტამენტთან შეთანხმებულმა მუშაობამ და მათ შორის ზუსტმა კოორდინაციამ. ამასთან, სწორად დაგეგმვა სატელეკომუნიკაციო ქსელის მინიმალური დანახარჯით მოდერნიზების წინაპირობა გახდა, რის საფუძველი მოძველებული ანალოგიური ტიპის კავშირის სქემის გაუქმება და ციფრულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ კავშირის სქემაზე გადასვლა იყო. ამან კი, თავის მხრივ, კომპანიას შესაძლებლობა მისცა, მნიშვნელოვნად შეემცირებინა ქსელის საექსპლუატაციო ხარჯი.

გარდა აღნიშნულისა, დამატებითი პროექტების წარმატებით ჩატარებას ასევე ხელი შეუწყო შესაბამისი სარეზერვო ტექნიკური საშუალებების არსებობამ და ქსელის მოდერნიზების შედეგად გამოთავისუფლებულმა აპარატურამ. **ამ სამუშაოთა ჩატარების შემდგომ გაიზარდა როგორც ფიქსირებული, ისე ADSL და უკაბელო ქსელის აბონენტთა ოდენობა, რამაც შემოსავალი გაზარდა; მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოდერნიზებული ქსელი უფრო სანდოა და დაცული. შესაბამისად, ხარვეზების აღმოფხვრა მინიმალურ ვადებშია შესაძლებელი. საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირის უზრუნველსაყოფად გაიზარდა გამვლელი არხების ოდენობა და დაინერგა ADSL სერვისი ასპინძაში, ვანში, საჩხერეში, ოზურგეთში, მარტვილში, ადიგენში, დუშეთში, საგარეჯოში, ჭიათურასა და თერჯოლაში. აბონენტებმა ხარისხიანი მომსახურება მიიღეს, ინტერნეტ-ქსელში ჩაერთნენ**



**ახალი აბონენტები და ახლა მათ ისეთი სერვისი მიეწოდებათ, რომლის მიწოდება ქსელის მოდერნიზებამდე შეუძლებელი იყო; ამბროლაურსა და უდეში დაემატა საერთაშორისო და საქალაქთაშორისო კავშირიზე გამავალი არხების რაოდენობა, ხოლო ცაგერში გაუქმდა მოძველებული ანალოგიური კავშირის სქემის 60-კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც სატელიტური კავშირის სქემამ ჩაანაცვლა.**

საუბრის დასასრულს ხაზი გაუსვეს იმ გარემოებას, რომ ჩატარებული სამუშაოების შედეგად მიღებული რესურსი ახალი აბონენტების უწყვეტად აყვანის შესაძლებლობას იძლევა, რაც დანერგილი სერვისების გაძლიერებისა და განვითარების პროცესს კიდევ უფრო მეტად გააძლიერებს.

**ოთარ ტურაბელიძე.**

## ინფორმაცია

# „როსნეფტმა“ აფხაზეთის ნავთობს დაადგა თვალი

**რუსული კომპანია „როსნეფტი“ სეპარატისტული აფხაზეთის ტერიტორიაზე ნავთობის მოსაპოვებლად საძიებო სამუშაოების დაწყებას გეგმავს.**

**ამის შესახებ აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის „მოლოდაია აბხაზიას“ წევრებთან შეხვედრაზე ისაუბრა.**

**საძიებო სამუშაოები ნაპირიდან 11-12 კილომეტრის დაშორებით, დაახლოებით 900 მეტრის სიღრმეზე ჩატარდება.**

**შეგახსენებთ, რომ სეპარატისტებმა „როსნეფტთან“ ხელშეკრულება 2009 წლის 24 დეკემბერს გააფორმეს.**

**რუსული კომპანია 2010 წლიდან შავი ზღვის გუდაუთის აკვატორიაში ნავთობის მოპოვების დაწყებას გეგმავს. ხელშეკრულების მიხედვით, ასევე გათვალისწინებულია აფხაზეთში ბენზინგასამართი სადგურებისა და თხევადი გაზის კომპლექსების მშენებლობა.**

**საერთო ჯამში „როსნეფტი“ აფხაზეთში 15 მილიარდი რუბლის ინვესტიციას დააბანდებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ადამიანი და სამყარო

# Do You Wanna Go Green?

## (აპირებ, რომ მწვანე გახდე?)



**ადრე, მაგრამ არც მთლად უსაშველოდ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მწვანე ფერი უფრო „ალტერნატიულ“, თანაც არაპოლიტიკურ მნიშვნელობას ატარებდა, ვიდრე დღეს, რასაც ვერ ვიტყვით სხვა ორ ღია ფერზე, რადგანაც „არასკანდალური“ უმცირესობის აღმნიშვნელ „კოლორს“ შედარებით ძველი და პიკანტური ისტორია აქვს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ეკოლოგიური მოძრაობა ეროვნული მოძრაობის პარალელურად ვითარდებოდა და იგი არასამთავრობო ორგანიზაციების ერთგვარ პროტოინსტიტუციასაც წარმოადგენდა.**

არასამთავრობოები კი, განსაკუთრებით ე.წ. მესამე ქვეყნების, რა ყოვლისმომცველი კეთილშობილური იდეაც უნდა ამოძრავებდეს, უცხოური, როგორც წესი, არა საუდის არაბეთის, არამედ დასავლეთის ფულადი დახმარების გარეშე ვერ იარსებებს. იმ „კონსუმერული“ დასავლეთისა და კიდევ კომპასზე აღნიშნული, დედამიწის სხვა მხარეების მწვანე შვილები შარშან გაგანია ზამთარსა და ყინვაში კოპენჰაგენში შეიკრიბნენ და გლობალური დათბობის წინააღმდეგ საბრძოლველად „მესამე ქვეყნებს“ რამდენიმე ათეული მილიარდიც „დააძალეს“, უფრო სწორედ იმათ ამათ „გამოსძალეს“. უცნაურია, რომ ამგვარი მეგაკონფერენცია მუდმივი თაკარა სიცხის ქვეყნებში კი არა, ისეთში გაიმართა, სადაც მზის სხივი ენატრებათ, 15 გრადუს „სიცხეში“ ლამის ტიტვლები დარბიან, ხოლო სადაც ცხრათვალას წაასწრებენ, იქვე იხდიან და ირუჯებიან. მათ შორის – სასაფლაოზეც. თანაც კოპენჰაგენისკენ გეზაღებულებმა შეკრების ადგილას თავიანთი სამგზავრო ბილეთებით, გახარჯული ქაღალდით, ჩართული ტელევიზორებითა და ლეპ-ტოპებით, სასტუმროს მოსამსახურე პერსონალის მიერ ამუშავებული სარეცხი მანქანებით, ანთებული ნათურებითა (ალბათ, გულებითაც) და ცხოველმოქმედების პროდუქტებით იმდენი ნახშირორჟანგი გამოჰყვეს, რომ ბუნებისა და ნადირობის ქალღმერთი დიანა დანიის თავზე უბილეთოდ და უსაწვავოდ გადაფრენის დროს სამიტიდან ლამის ერთი თვის თავზეც კი სტუმრების გამონაბოლქვისაგან ახლაც ჭირიანივით ახველებს და შემდეგი ამგვარი ფორუმისთვის საქალღმერთო აირწინაღებს იმარაგებს. უცნაურია, რომ Greenpeace-ს ჯერ არ გაუპროტესტებია დიანას ამბივალენტური მინისტრობა – ერთდროულად ბუნებისა და ნადირობის „ნაჩალნიცობა“, თუმცა სადაც კულტურა და სპორტი ერთი ქოლგის ქვეშაა, იქ არაფერია გასაკვირი...

სამწუხაროდ, არ ვიცი, საქართველომ რა თანხა მიიღო და არც ის, სთხოვა თუ არა ფული სამიტისტებს. ასევე მაინტერესებს, იყო თუ არა გაეროს ამ გალაფორუმზე საუბარი იმის შესახებ, რომ ჩინეთმა ინკების დაკარგული ქალაქის პერუს სავიზიტო ბარათი, რომელიც მსოფლიოს ახალ საოცრებათა ჩამონათვალში დასახელდა (თუმცა UNESCO-მ არ სცნო) – ულამაზესი „მაჩუ პიკჩუს“ მთა შეისყიდა და იქ ნავთობის ძიების პროცესში ყველაფერი ააფეთქა, ამოძირკვა, გადათხარ-გადმოთხარა, გადათელა, ამოჩიჩქნ-გადაჩიჩქნა, გადაბურღა, დაამახინჯა და ამით $CO_2$-ის გვარიანი ულუფაც „აჩუქა“ ისედაც აქტიურ-პასიურად მწეველ პლანეტას. კოპენჰაგენის სამიტზე ჩინეთი დაგვპირდა, რომ ნახშირორჟანგის ემისიის ზრდის შესაჩერებლად ძალ-ღონეს არ დაიშურებს, მაგრამ როგორც ეტყობა – მხოლოდ თავის სახლში. ქართველებს კი ჩვენი რეალობა და საფიქრალ-თავსატეხი გვაქვს: სამხრეთ ამერიკა ნატოსავით შორსაა, რუსეთი კი – ზედმეტად ახლოს.

წინა საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოს, „გლობალური დათბობა“ ჯერ „გამოგონილი“ არ ჰქონდა. მაშინ პირიქით – „ცივი ომის“ გამონაბოლქვი წამლავდა ტვინსა და პოლიტიკურ ეკოლოგიას. დათბობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ იმდროინდელი ჰაერი სულ სხვა პრობლემით – ატომური „გლობალური გამყინვარების“ ნიშნებით ხასიათდებოდა. წინა საუკუნის მიწურულს ქართველ მწვანეთა მოძრაობა XXI-ში ცუდი, „არაეკოლოგიური“ გაზისგან მოულოდნელად გარდაცვლილი ერთი მნიშვნელოვანი ქართველი პოლიტიკოსისთვის პარლამენტში გადასვლის ერთგვარი რბილი და მარტივი გზა აღმოჩნდა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს გადასვლა ცუდად დამთავრდა... ქართულ ბუნებას ორიენტაციის შეცვლა (პირიქით, რატომღაც, არ გამოდის. სამთავრობო სტრუქტურის „დათმობის“ შემდეგ მხოლოდ პარტია იქმნება), ამ შემთხვევაში არასამთავრობოდან სამთავრობოში ტრანსფორმირება ცუდად აქვს დაცდილი. თუმცა ეკოლოგია აქ არაფერ შუაშია. მაგრამ აშკარაა, რომ ხშირად ბუნება, პოლიტიკისა და მისი მესვეურებისა არ იყოს, ჯიუტი, ხისტი, არაპროგნოზირებადი, არაერთგული რამაა და მძიმე ხასიათის ნიშნებს ატარებს. ის, რაც ერთისთვის მაშველი და საოცნებო ჟანგბადია, მეორესთვის – მწარე და ნახშირორჟანგზე უარესი აღმოჩნდება ხოლმე – მაგალითად, ზემოხსენებული დიანასთვის.

ამერიკა არც ისე კარგ ხასიათზეა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ყაჩაღები ბანკებს ლამის მთლად ვესტერნულად ვეღარ ქურდავენ, როგორც „ბუჩ კესიდი და სანდენს კიდი“ და ამიტომაც საბრენდო ნიშანი გაიცრიცა. გასულ წელს აშშ-ში არასაინტერნეტო საბანკო ძარცვით მიყენებულმა ზარალმა თითქმის 9,5 მლნ. დოლარი შეადგინა. თუმცა ნაძარცვის 22 პროცენტის დაბრუნება მაინც მოხერხდა, მაგრამ ეს თანხა დიდი ვერაფერი ნუგეშია. მძარცველებს, რატომღაც უფრო სამხრეთ შტატების ბანკები მოსწონთ (ვითომ უფრო ცხელსისხლიანები არიან ან უფრო „დამთბარები“?). მაგრამ დავანებოთ თავი კრიმინალურ-მატერიალისტურ „წვრილმანებს“ და გადავიდეთ იუმორნარევ არამერკანტილურზე: მაგალითად, იმაზე, რომ აშშ-ის ერთ ერთ ცირკში აშშ-ის პრეზიდენტის სეხნია სპილოც კი გამოჩნდა. ადგნენ და საცირკო სცენაზე პირდაპირ ასე გამოაცხადეს: სპილო Baby Barack!-ო... თუ ფაუნურ თემას გავაგრძელებთ, ხორთუმიანის გვერდით უხორთუმოც უნდა ვახსენოთ, კერძოდ კი ამერიკისა და ჩინეთის „ზოოლოგიური“ სიყვარულის ერთგვარი ნიუანსიც, კერძოდ კი – პანდას ამერიკული „ემიგრაცია“. პანდას ლოკალურ და კოსმიურ მნიშვნელობას ისიც ადასტურებს, რომ ვაშინგტონში პანდას ადამიანის ზომის ფიგურებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით. იგი დედაქალაქში NASA-ს მუზეუმის შესასვლელთანაც კი დაგხვდებათ. ეს დანამდვილებით ვიცი, რადგან საფრენი მოწყობილობების გალერეის წინ იმ არაცოცხალ, არამონუმენტურ „დათუნისათან“ სურათიც მაქვს გადაღებული. ალბათ, ისიც „პაპიე მაშე“-ზე უფრო მტკიცე მასალისგან, ჩინური, ჩვეული „რეზინისგან“ და არა არაჩინური რკინა-ბეტონისგან ჩამოქნეს. ეს ის ცხოველია, რომელიც აქაურ ტყეებში არ ბუდობს, ამიტომ ჩინეთმა, რეცესიის მიუხედავად, ჩემს ყოველწლიურ 10-პროცენტიან ეკონომიკურ ზრდას (2009 წელს ჩინეთის იმპორტი 56 პროცენტით გაიზარდა) ამით მაინც არაფერი დააკლდებაო, ადგა და გიგანტური პანდები ამერიკას „ასესხა“. სამწუხაროდ, დიდი ხნის სტუმრობისა და გულშემატკივარ სპეციალისტთა არაერთი დაუღალავი მცდელობის მიუხედავად ფაუნის მდედრობითი სქესის გიგანტური წარმომადგენლისგან ჯეროვანი სარგებელი ვერ მიიღეს ანუ გამრავლება ვერაფრით მოხერხდა ანუ ჩვენებურად, იმერულად – „9 თვის თავზე ერთი ბოვშვიც არ გოუგორებია“.

საქმე ის არის, რომ ჩინეთიდან ჩამოყვანილ ამ ცხოველებს ამერიკის ზოოპარკში სტუმრობის დრო და „ვიზა“ ეწურებათ, „მწვანე ბარათი“ კი აშშ-ის საემიგრაციოსგან ჩინეთის ხათრით ვერ დაიმსახურეს და ამიტომ მალე ისინი უკან ანუ სამშობლოში უნდა დააბრუნონ, უკაცრავად – დაბრუნდნენ. სპეციალისტებმა წარმატებული შეჯვარების დღე სკრუპულოზურად გამოთვალეს (ა. წ. 9 იანვრის ღამე), ორივე პანდა მოამზადეს, შეეცადნენ, სთხოვეს, ეხვეწნენ-ემუდარნენ, დაუყვავეს, რას არ შეჰპირდნენ, მაგრამ – ამაოდ. ბუნება, პანდასნაირთა ჩათვლით, ძალიან ჯიუტია. პატივცემულმა და თავმოყვარე ცხოველებმა ამგვარი საჯაროობის პირობებში მემკვიდრის ჩასახვაზე დემონსტრატიული და მტკიცე უარი განაცხადეს და ამით ამერიკელებს სტუმარ-მასპინძლობა დაუწუნეს. გამოუვალი მდგომარეობის გამო საქმის გულშემატკივრებმა ხელოვნური განაყოფიერების სულ უფრო პოპულარულ ხერხს მიმართეს. აქ არავეგეტარიანულ „ორი კურდღლის“ მოკვლის მცდელობასთან გვაქვს საქმე. საქმე ის არის, რომ პოტენციურ დედას (მამას – არა), უკვე „დამაკებულს“, ამერიკის მიწაზე სტუმრად გაჩერება სავსებით შეუძლია, ანუ „საინტერესო მდგომარეობაში“ მყოფისთვის „ვიზის“ დარღვევა „მოსულა“, შეძენილი პატარა კი აპრიორი ამერიკის მოქალაქე იქნება. ეტყობა, იმავე პრინციპით, რა პრინციპითაც ამერიკის მიწაზე დაბადებული ადამიანი ამერიკის მოქალაქედ იწერება. დედის სამშობლოში იძულებით გამგზავრება, შვილთან დაშორება კი მშვიდი სინდისით შეიძლება. მწვანეები დუმან, ალბათ, იმიტომ, რომ ამერიკაში ჰომო საპიენსებსაც ხანდახან ასე ეპყრობიან. მაგალითად, რამდენჯერმე მედიაც ახმაურდა არალეგალი მექსიკელი ქალების ტრაგედიასთან დაკავშირებით. გაჭირვებული დედების აქ შეძენილ გოგო-ბიჭებს აშშ-ს ტერიტორიაზე ტოვებენ, ხოლო ქალებს – უკან, სამშობლოში ამგზავრებენ. მიზეზი: შვილი – აშშ-ის მოქალაქეა, დედა – არა.

პირადად ჩემთვის გლობალურ დათბობასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი პოლიტიკური დე-ჟავიუსა და არაპოლიტიკური სიურეალიზმის ინსტალაციად გადაიქცა. სამაგიეროდ ჭეშმარიტმა და ცრუ პანიკიორებმა თვითგამოხატვის უფლება დაიკმაყოფილეს და თანაც როგორ! ერთი ხანი არიზონელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა ქვეყანას ამერიკის ენერგომომარაგების ნახშირზე დამოკიდებულების შესამცირებლად 50 ატომური ელექტროსადგურის აშენებაც შესთავაზა, ალბათ, თითო შტატში – თითო სადგურის პრინციპით,თუმცა 2010-ში „პლანეტის ყველაზე ცუდ მტერთა“ სიაში მაინც მოხვდა. რამდენიმე წლის წინათ ერთ, უკვე მოქმედ ატომურ ელექტროსადგურზე არაჩერნობილური მასშტაბის გაუმართაობამ, მგონი, საბოლოოდ დაასამარა ეს ნაკლებნარჩენებიანი,მაგრამ ლამის იმთავითვე უპერსპექტივო იდეა. სულ ახლახანს კი ხმა დაირხა, ტეხასში ჯერ გაურკვეველი მიზეზის გამო ატომური ელექტროსადგური გააჩერესო. 2007-ში ქართველმა პრეზიდენტმაც „დააქარაგმა“ ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის იდეა, პრესაში მწვანეების პროტესტი და არგუმენტები გამოქვეყნდა და საქმემ უაურზაუროდ ჩაიარა. სამაგიეროდ კოპენჰაგენის სამიტს სხვა სახის აჟიოტაჟმა – კლიმატგეითმა პირდაპირ „სულზე მიუსწრო“. ინტერნეტში რუსი ჰაკერების მიერ მოპოვებული ბრიტანელი კლიმატოლოგების მიმოწერა გამოქვეყნდა, სადაც მეცნიერები აცივების თუ აგრილების საშიშროებაზე უფრო საუბრობენ, ვიდრე ამ ყველაფრის ანტონიმზე – აცხელება-დათბობაზე... როგორც ჩანს, ტემპერატურის მატებისგან მიღებული „ბონუსები“ უფრო შთამბეჭდავად იხატება, ვიდრე – აცივებისგან. ყველაფერს ხომ თავისი ბუღალტერია აქვს, საკანონმდებლო და სხვა ბაზებზე რომ აღარ ვისაუბროთ. აგერ ოჰაიოს შტატში სახელმწიფო ლიცენზიის გარეშე თაგვების ჭერა და განადგურება ანუ მათზე ნადირობა კანონით იკრძალება. სამაგიეროდ, ვაშინგტონში ბუზებზე ნადირობა აკრძალელი არაა და ეს ქვეყნის პრეზიდენტმაც საჯაროდ დაადასტურა. ანუ რაც კანონით აკრძალული არაა, სავსებით დასაშვებია. ბარაკ ოაბამამ ერთ-ერთი ინტერვიუს დროს აბეზარი მწერი „არაპოლიტიკური“, სნაიპერული მოძრაობით სიცოცხლეს გამოასალმა. ულიცენზიოდ, თანაც ნიშნის მოგებით: „როგორი იყო, ჰა?“ ბუზი ტელეარხ CNBC-ის ჟურნალისტისა და პრეზიდენტისა კითხვა-პასუხის დროს ხალიჩაზე უსულოდ ეგდო. ვიდეოკამერამ ფეხებაყირავებული „ფრთოსანი“ ფართო პლანით დაგვიფიქსირა. მიახლოებით ვხვდები, ამ ბუზის კვდომისგან გამოყოფილმა მეთანმა რა ოდენობის “ეფექტი“ შეჰმატა გლობალური ნახშირორჟანგის ჰექტრებსა და ტონებს. თუმცა იგი (ბუზი) ადრე თუ გვიან მაინც „ჩაბარდებოდა პატრონს“, მეთანი კი – თავისას, ისევე როგორც ყველაფერი ამ ცოდვილ დედამიწაზე.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**

**(დასასრული იქნება)**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:**

● **ვაზისა და ხეხილის აგროცენოზის კვლევის განყოფილების გამგე (მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი) – 1 საშტატო ერთეული.**

● **ვაზისა და ხეხილის აგროცენოზის კვლევის განყოფილებაში, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ნიადაგმცოდნე) – 1 საშტატო ერთეული.**

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:

● კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

● შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის და წოდების დამადასტურებელი დიპლომების ასლები;

● ბოლო 3 წლის განმავლობაში სამეცნიერო ნაშრომებისა და პატენტების ნუსხა;

● ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც უკეთესად წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;

● შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელ/ფაქსი, ელ. ფოსტა);

● მონაწილეობა საგრანტო და საერთაშორისო თემატიკაში (დამადასტურებელი დოკუმენტაცია);

● სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული (საერთაშორისო, რესპუბლიკური კონფერენციების, სიმპოზიუმების და ა. შ. მოწყობა, მონაწილეობა) დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

განყოფილების გამგის ერთეულის დასაკავებლად დამატებით უნდა წარმოადგინონ:

● სტრუქტურული ერთეულის განვითარების და საკუთარი კვლევის ხედვა, ვაზისა და ხეხილის აგროცენოზისა და აგროეკოლოგიური კვლევების წარმართვაზე (ოთხ წელზე გაწერილი საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა. შ.);

საბუთები მიიღება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის კანცელარიაში, სამუშაო დღეებში 10-დან 17 საათამდე, მისამართი **ქ: თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი №6, მე-2 სართული, ოთახი №2.**

საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 2010 წლის 12 თებერვალი.

**დამატებითი ინფორმაციისთვის საკონტაქტო ტელეფონებია:**
**52-69-16; 52-36-22; 52-70-19.**
**პასუხისმგებელი პირი მარინა ლომაძე**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

### რედაქტორისგან

*არავითარი სურვილი არ მქონია, დამებეჭდა იულია ლატინინას რეპორტაჟის ეს ნაწილი საქართველოდან.*

*ხომ არ შეიძლება ოპოზიციის ასე განადგურება, თუმცა იგი უპირისპირდება „მართალ“, როგორც იულია გვიმტკიცებს, პრეზიდენტს. რა, ოპოზიცია სჭირდება მხოლოდ ავტორიტარულ რეჟიმს? თუ იგი ღირებულებაა თავისთავად, ან ტუტუცისგან დაცვის ბლოკი, ვინც მას ამის შესახებ არ ეტყვის?*

*როგორც ჩანს, ეს ღირებულების საკითხია და არა პერსონალური დახასიათება.*

*მოდით, განვიხილოთ.*

***დმიტრი მურატოვი***

# რატომ არ არის საქართველოში დემოკრატია

**საქართველოს ოპოზიცია უგუნურია: გამონაკლისს ირაკლი ალასანია შეადგენს, მაგრამ ალასანიას პრობლემა ის არის, რომ იგი ცხიმგაცლილი ვარიანტია სააკაშვილისა.**

ქართულმა ოპოზიციამ ომის შემდეგ მოიცადა რამდენიმე თვე, შემდეგ ყველამ – მათმაც, ვინც ოპოზიციაში იყო, და მათმაც, ვინც ხელისუფლების გუნდში – გეზი აიღო ქუჩაზე სრული დარწმუნებით, რომ სააკაშვილი ახლა დაეცემოდა, და ჩქარობდნენ დაეკავებინათ ოპოზიციის ლიდერის ადგილი. ოპოზიციის სტრატეგია გახლდათ 30-იანი წლების დასავლელი კომპარტიების ქცევის ზუსტი ასლი: გავაკეთოთ ყველაფერი, რათა მოლაპარაკება არ შედგეს. ხოლო თუ ხალხს არ სურს შეთანხმება, ისინი ყოველთვის არ შეთანხმდებიან.

ოპოზიციის მთელი გეგმა ის არის, რომ სისხლიანი რეჟიმი დაარბევს მიტინგს და დაეცემა. სისხლიან რეჟიმს კი არავინ დაურბევია. როდესაც ოპოზიციამ გაიგო, რომ მათ არავინ აპატიმრებს, თავად დაიწყო გალიაში ჯდომა. ეს იყო ფრეიდისტული უკან დახევა, მაგრამ დაგვეთანხმეთ, რომ ეს ერთი და იგივე როდია: თუ სისხლიანი რეჟიმი გალიაში გამწყვდევს, ან თქვენ ორი თვის განმავლობაში უხდით რაღაც კაპიკებს ვიღაც მათხოვრებს, რომ ისინი ისხდნენ გალიაში რუსთაველის პროსპექტის შუაგულში და მუცელს იხეთქავდნენ და იქვე ისაქმებდნენ. პირველ შემთხვევაში თქვენ ხალხისთვის, თავისუფლებისთვის მებრძოლი ხართ, მეორეში – დიდი სანარცხის ორგანიზატორები.

ყველაზე მეტად ოპოზიციის დადებითი პროგრამა მომწონს. ოპოზიციის ლიდერის „მაესტროს“ არხზე გამოსვლის დროს ეს პროგრამა ასე ჩამოაყალიბა: მე ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ და ბევრ მათგანში იციან საჭმლის კეთება, ზოგიერთში – ჭამა, ზოგიერთში – ცეკვა, მაგრამ საქართველოში ყველაფერი ეს იციან ერთბაშად. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ქართული სუფრის ექსპორტი.

გასაოცარია, მაგრამ ქართული ოპოზიცია ახდენს ყველა იმ თვისების დემონსტრაციას, რასაც ჩვეულებრივად ახდენს ტოტალიტარული რეჟიმი. ეს არის პათოლოგიური პოპულიზმი, ინფანტილობა და, სხვათა შორის, კორუფციაც. „ჩვიდმეტნახევარი წიგნი“ – ეს ჯერ კიდევ ყვავილებია. ეჭვი არ მეპარება, რომ მონსტრს გაუჩნდება მოთხოვნილება, დაადასტუროს ის, თუ ვინ აწარმოებდა ქართული ოპოზიციიდან მოლაპარაკებას რუსეთთან კანონიერი ქურდის ტარიელ ონიანის ახლობელი მეგობრის მეშვეობით.

პრობლემა ის არის, რომ ქართული ოპოზიცია შეურაცხადია თავისთავად. იგი ასახავს თავისი ამომრჩევლის შეურაცხადობას.

საქართველო – ეს არის 800 ათასი პენსიონერი 50 ლარით. ეს არის 75 ათასი „მენტი“, რომლებიც ქუჩაში გამოყარეს, პლუს ამას ათასობით მუშაკი უშიშროების სახელმწიფო კომიტეტიდან, პლუს 2 ათასი აფხაზური პოლი-



ციიდან დევნილობაში, პლუს 850 მოსამსახურე სტატისტიკის პალატიდან, რომლებიც ადგილზე გაათავისუფლეს. როდესაც კახა ბენდუქიძემ ევროსაბჭოს კომისარს უთხრა, რომ იგი ათავისუფლებს ათას ნახევარ კაცს, ქალი შეეკითხა: „როგორ მოაწყობთ მათ სამუშაოზე?“ კახამ უპასუხა: „წავიდნენ მაგათი...“ ქალი ატირდა.

ყველა ეს „სი-დევანტსი“ ვერ მოახდენს თავისი პრეტენზიების ვერბალიზებას. მათ არ შეუძლიათ თქვან, რომ სულ სხვა რამე სურთ, სურთ ძველ საქართველოში, სადაც არ არის ელექტროობა და სახელმწიფო, მაგრამ არის ქრთამი, ღვინო და მეგობრობა. მათ მიაჩნიათ, რომ სააკაშვილმა დაამცირა და ფეხქვეშ გათელა საქართველო. „თუ ხელისუფლებაში მოვა ლევანი, მაშინ ქუჩებში კვლავ შეიძლება იარონ დანებით“, – აღტაცებით მეუბნებოდა ერთი ჩემი კლასელის შვილი. „სააკაშვილმა ხელისუფლებაში სოფლელები მოიყვანა!“

საქართველოში ოპოზიცია ხალხს უხსნის ყველაფერს, რასაც რუსეთი უხსნის თავის ხალხს: ეროვნული ხასიათის არსი – ეს არის სიზარმაცე, ქრთამი და კორუფცია.

ეს ნიშნავს, რომ საქართველოში არ არის დემოკრატია, ვინაიდან დემოკრატიის დროს, როდესაც ოპოზიცია მოდის ხელისუფლებაში, ქვეყანაში არაფერი იცვლება. თუ საქართველოში ხელისუფლებაში მოდის ოპოზიცია – იქნება კატასტროფა.

როგორ ფიქრობთ, რამდენად დაეცა შალვა ნათელაშვილის რეიტინგი მას შემდეგ, რაც აჩვენეს ფირი „ჩვიდმეტნახევარი წიგნის“ შესახებ? პასუხი: არანაირადაც. ნათელაშვილის ამომრჩეველი რეალურად უყურებს საქმეს, როგორც ვირთხა სუსტ საწამლავს.

მე არ ვიცი, ბაიკაა ეს თუ არა და ამიტომ, მოდით, ჩავთვალოთ, რომ ეს ბაიკაა.

ერთხელ ვანო მერაბიშვილის ერთ-ერთმა მოადგილემ ტახი მოკლა. საქართველოში, საერთოდ, აკრძალულია გარეულ ღორებზე ნადირობა, ვინაიდან მათზე ნადირობა შეიძლება სანადირო მეურნეობის ჩამოყალიბებიდან მხოლოდ მეშვიდე წელიწადს, ახლა კი ახალგაზრდა სამონადირო მეურნეობა სულ რაღაც ექვსი წლისაა.

თუმცა, ლაგოდეხის ნაკრძალში მიამბობდნენ მთავრობის წევრებზე, რომლებიც ნადირობდნენ ავტომატებით შვეულმფრენებიდან, მაგრამ იყვნენ ისინი, ვინც ოპოზიციაში გადავიდა: ირაკლი ოქრუაშვილი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი და ქალბატონ ბურჯანაძის მეუღლე ბადრი ბიწაძე. ეს ასეთი გასაოცარი კანონზომიერებაა საქართველოში: ის ხალხი, ვინც მიიჩნევს, რომ ხელისუფლება ეს არის ნამცხვრის გაყოფის საშუალება და ნადირობს შვეულმფრენებით, გადადის ოპოზიციაში, ადრე თუ გვიან. ანდა შეიძლება ითქვას ასე: როგორც კი პოლიტიკოსი გადადის ოპოზიციაში, უმალვე ჩნდება რაღაც შვეულმფრენი.

მოკლედ, ვანოს ერთ-ერთი მოადგილე ტრაბახობდა, რომ მოკლა ტახი, და ვანო შეეცადა გაეპამპულებინა იგი. თითქოსდა მოადგილეზე აღიძრა სისხლის სამართალი და გამოიძახეს დაკითხვაზე. დაკითხვის დროს გამომძიებელი ჯერ იყო მკაცრი, შემდეგ დაიწყო მისი გაპამპულება: „იქნებ შემთხვევით მოხდა? ან იქნებ ტახი თავად იყო დამნაშავე?“ და, რასაკვირველია, ბოლოს და ბოლოს, გაირკვა, რომ ტახი თავად გამოვარდა გზაზე, დაეტაკა მანქანას და მოკლეს თავდაცვის მიზნით...

სინამდვილეში არავითარი სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა და ყველაფერი ეს გადაიღეს ფირზე, როგორც საპირველაპრილო ხუმრობა.

ახლა კი წარმოიდგინეთ ქართველი ბიზნესმენი, რომელიც ირჩევს, თუ ვისთან იმეგობროს – ხელისუფლებასთან თუ ოპოზიციასთან. ოპოზიციისგან ისედაც თმები ყალყზე გიდგება, აგერ კიდევ ასეთი ხელისუფლება. ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია გონივრულად, ქართველურად იხუმროს.

თუ საქართველოში ხელისუფლებაში ოპოზიცია მოვა, კატასტროფა მოხდება. და, რასაკვირველია, მმართველი გუნდი ყველაფერს აკეთებს, რათა თავიდან აიცილოს კატასტროფა და დარჩეს ადგილზე, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, ხელისუფლებაში. მაგალითად, დახურეს ტელეარხი.

– ჩვენ რომ არ დაგვეხურა „იმედი“, დავკარგავდით ხელისუფლებას, – ცივად მიპასუხა ვანო მერაბიშვილმა.

დიახ. ისინი დაკარგავდნენ ხელისუფლებას. ასე კი – მათ ქალწულობა დაკარგეს.

მათ ქალწულობა დაკარგეს ერთხელ, როდესაც დახურეს „იმედი“, მეორედ, როდესაც დაარბიეს 2007 წლის 7 ნოემბრის მიტინგი.

ბიზნესი მხარს უჭერს ხელისუფლებას – მაგრამ არავინ იცის, თუ ამ მხარდაჭერის როგორი ნაწილი ხდება ოპოზიციის წინაშე შიშის გამო და რომელი ფილიგრანული შანტაჟის გამო, შანტაჟისა კი არა, მეგობრული თხოვნის გამო, ვინაიდან კორუფცია საქართველოში არ არის, ელიტა კი არის. საქართველო იმართება ხელით და არა ავტომატური რეჟიმით, როგორც ამას დემოკრატია მოითხოვს.

საქართველო საუცხოო ილუსტრაციაა იმ თეზისისა, რომ დემოკრატია ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში ხდება მოდერნიზაცია.

მე დავბრუნდი მოსკოვში. მიუხედავად ორი მილიარდი დოლარისა, რაც დაიხარჯა ახალი კვანძის გახსნაზე, მოსკოვი ყრუდ იდგა. გზის პირებზე ავტოინსპექციის მუშაკები კრეფდნენ მოსაკრებელს, რადიოში კი გაისმოდა ჩვეულებრივი რუსული ახალი ამბები: სამმა მთვრალმა მილიციელმა სიკვდილამდე სცემა მამაკაცს; საგამოძიებო სამსახურში სიკვდილამდე აწამებდნენ იურისტ მაგნიტსკის; ყაზარლოში მილიციონერებს ბოივიკებმა თავი მოჭკვეთეს; შვეიცარიაში „მწვანე ახალგაზრდობამ“ რბოლა მოაწყო, 22 წლის პაცანმა 70 წლის შვეიცარიელი გაიტანა.

მე მივდიოდი და ვფიქრობდი, რომ ყოველივე ეს გარდაიქმნება. ექვსი წლის განმავლობაში. საკმარისია მმართველი, რომელიც ფიქრობს ქვეყანაზე და არა სხვა რაღაც სისულელეებზე.

**იულია ლატინინა**

Новая газета

## დედამიწის ზურგზე



**აშშ-ს არმიას ჰაიტის აეროპორტიდან გაჰყავს ჟურნალისტები. რუსებს არ შეუძლიათ ჩაიტანონ იქ ჰუმანიტარული დახმარება**

სამხედრო მოსამსახურეები ასეთი განკარგულების მიზეზებს არ ხსნიან. ბოლივიის პრეზიდენტი ევო მორალესი მიიჩნევს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიწისძვრის მსხვერპლთათვის დახმარების აღმოჩენის საბაბით დაიწყო ჰაიტის „სამხედრო ოკუპაცია“. ამერიკის შეერთებული შტატები ჰაიტიში აგზავნის კიდევ 4 ათას სამხედროს.

* * *

**აშშ აპირებს, გამოიყენოს სანქციები მინსკისა და მოსკოვის მიმართ ტერორისტებისთვის იარაღის მიწოდების გამო**

ამერიკელები შეშფოთებული არიან ბელარუსის კონტაქტების გამო მებრძოლ ქვეყნებთან და აპირებენ დაიწყონ ბელარუსის მიერ იარაღის მოწოდების აღრიცხვა. ამავე დროს, ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, მინსკი ხელიხელჩაკიდებული მოქმედებს მოსკოვთან ერთად. ამიტომ ორივე მათგანს ემუქრება სანქციები.

* * *



**ობამამ ჰაიტელთა დასახმარებლად გაიღო 15 ათასი დოლარი საკუთარი სახსრებიდან**

პრეზიდენტმა აგრეთვე უარყო „ზოგიერთის“ მტკიცება, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები აპირებდეს ჰაიტის ოკუპაციას და იქ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას. მიწისძვრის გამო, თქვა ობამამ, „ხელისუფლება იქ პარალიზებული აღმოჩნდა“ და ამერიკა ცდილობს დაეხმაროს მათ სახელმწიფო მართვის სისტემის ფუნქციონირების აღდგენაში.

* * *

**იტალიაში ავტოკატასტროფაში დაიღუპა ნატოს გენერალი**

სამხედრო მოსამსახურე ამერიკელი ოფიცერი დაიღუპა სატვირთო მანქანასთან შეჯახების გამო. ამ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში ჩართული აღმოჩნდა კიდევ ხუთი ავტომობილი. ერთი მძღოლი მსუბუქად დაიჭრა.

* * *

**„ვირჯინიელი მსროლელის“ მსხვერპლი გახდა მისი და ქმართან ერთად, კიდევ ორი მოზრდილი, სამი მოზარდი და 4 წლის ბავშვი**

ამჟამად სლაიტი ქალაქ ლინჩბურგის ციხეშია (ვირჯინიის შტატი). მას უკვე წაუყენეს ბრალდება მკვლელობაში. ამას გარდა მას შეიძლება წაუყენონ სხვა ბრალდებებიც. დანაშაულის მოტივი ჯერჯერობით უცნობია. მენალმეები აპირებენ მისი სახლის განაღმვას – იქ ჩალაგებულია უამრავი ასაფეთქებელი მოწყობილობა და აღმოაჩინეს მთელი არსენალი.



**ოთხშაბათობით რედაქციაში**



# პოეზიის ორი წუთი და „მუზის ჩიტები“...

**როგორც უკვე ვიუწყებოდით, ოთხშაბათობით გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ხელოვნების დღეს უმასპინძლებს. ამის შესახებ მკითხველმა უკვე შეიტყო, როდესაც რედაქციას წინა ოთხშაბათს გიტარისტი გვანეტა ბეთანელი ესტუმრა.**

„საქართველოს რესპუბლიკამ“ ამჟამად **ასანიძეების ოჯახს** უმასპინძლა. **გიორგი, ქეთევან** და **ბარბარე ასანიძეები** მუსიკით არიან დაინტერესებული. და-ძმა შესანიშნავად მღერის და უკრავს სხვადასხვა ინსტრუმენტზე. ყველასათვის კარგად ნაცნობი და საყვარელი პოეტი **თამარ გაბროშვილი** კი მათი დედაა. ვისაც თამარ გაბროშვილის ლექსები წაუკითხავს, მიხვდება, რომ მის ლექსებში პოეტი ქალის გულისთქმა და ოცნება არის ჩაქსოვილი.

თამარის შვილები ქეთევანი და გიორგი ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები არიან. ამის გარდა, გიორგი პარალელურად კონსერვატორიაში სწავლობს. ქეთევანმა კი სამუსიკო კოლეჯი დაამთავრა და შესანიშნავად უკრავს ვიოლინოზე – პაგანინის „კანტა ბილე“, მაჭავარიანის „რომანსი“ და შუბერტის „ავე მარია“ – სწორედ ეს ჰანგები მოვისმინეთ რედაქციაში მოსული სტუმრებისგან. აღსანიშნავია, რომ შუბერტის „ავე მარია“ მან ძმასთან ერთად შეასრულა, რომელიც ჩასაბერ, ინტრუმენტზე უკრავს. გიორგიმ ასევე სიმღერა – „რა ლამაზია სამყარო“ და დასთან – ბარბარესთან ერთად იტალიური სიმღერა „ცხოვრება მუსიკისთვის“ შეასრულა.

მუსიკის ჩანაცვლებით ქალბატონი თამარი საკუთარ ლექსებს კითხულობდა. „უნდა გავუფრთხილდეთ ყოველ წუთს, მით უმეტეს, თუ ის ლამაზი წუთია. ცხოვრება ხომ ლამაზი წუთების ჯამია“, – ამბობს თამარ გაბროშვილი.

თამარ გაბროშვილს სამი პოეტური კრებული აქვს გამოცემული. იგი საბავშვო ზღაპრებსაც წერს. უახლოეს მომავალში აპირებს პროზაული კრებულის გამოცემას და იმედს იტოვებს, რომ ეს მალე მოხდება.

ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, რომ მისი ერთ-ერთი ლექსი „მუზის ჩიტები“ შვილებს მიუძღვნა. ასანიძეები ახლო მომავალში საოჯახო სოლო-კონცერტის ჩატარებასაც გეგმავენ. „საქართველოს რესპუბლიკა“ შემოქმედ ოჯახს წარმატებებს უსურვებს.

**ხატია მუსერიძე.**
**მურად ალაშვილის ფოტო.**

## თამარ გაბროშვილი

### მთვარე

გეჟან ასანიძეს

აქ არა ხარ და სინათლეს
ისევ სიმნელე მიჯობს,
დავწვები, დამესიზმრები,
ცისფერთვალება ბიჭო.
წარმსაც არ შეხრი, ფიცხელად
შეებრძოლები ცხრა დევს
და თოკის კიბით ამიყვან
დედამიწიდან ცამდე.
გამიშლი მფრინავ ხალიჩას,
გადამატარებ მთა-ველს,
და ჩვენ ვიქნებით ამაღამ
ვეებერთელა მთვარე.

### ექო

ამ გაზაფხულზეც მომენატრები,
რადგან მექნება მიზეზი თრობის:
აფეთქდებიან ჩვენი ატმები,
მწვერვალებიდან ჩამოვა თოვლი.
ჩამოგვადნება სხეულზე ექო
და თმას დამიწნავ ისევ ახლიდან,
რომ ნაწნავების სიგრძით გაიგო,
რა დრო გასულა ბოლო
ნახვიდან.

**მოგვმართავენ, გვეკითხებიან**

## რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: დამსაქმებელმა, რომელთანაც ვმუშაობდი, გამოგვიცხადა ლოკაუტი, ე. ი. დროებით გვითხრა უარი მოცემული სამუშაოს შესრულებაზე. დასაქმებულთა ჯგუფმა გავასაჩივრეთ მისი გადაწყვეტილება. სასამართლომ ჩვენი საჩივარი სამართლიანად ცნო და ლოკაუტი უკანონოდ ჩათვალა. გთხოვთ გვაცნობოთ, არის თუ არა ვალდებული დამსაქმებელი, აგვინაზღაუროს იმ პერიოდის ხელფასი, როცა ყოვლად უმიზეზოდ არ მოგვცა სამუშაოს შესრულების უფლება?**

**ნიკოლოზ სეხნიაშვილი**

**პასუხი:** დიახ, უნდა გადაგიხადოთ, ვინაიდან კანონის თანახმად, თუ სასამართლომ ლოკაუტი უკანონოდ სცნო, დამსაქმებელი ვალდებულია, აღადგინოს შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან და აუნაზღაუროს გაცდენილი სამუშაო საათები.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 99-62-77.**

# განცხადებები აუქციონის ჩატარების შესახებ

2010 წლის 30 იანვარს 10:00 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს “მკათათვეს” (მისამართი: გურჯაანის რაიონი სოფ. კაჭრეთი ს/ნ 227756728) კუთვნილი უძრავი ნივთის რეალიზაცია.

გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი უძრავი ნივთი:

მის.: გურჯაანის რაიონი, სოფ. კაჭრეთი, საკადასტრო კოდი 51.20.06.679, დაზუსტებული ფართობი 90000 კვ.მ., შენობა-ნაგებობების საერთო ფართი 64780.30 კვ.მ. უძრავი ნივთის საწყისი ფასია 400 000 (ოთხასიათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს “თიბისი ბანკი”.

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს “თიბისი ბანკის” მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის ან ნივთების მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს “თიბისი ბანკი”**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

---

2010 წლის 30 იანვარს 11:00 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს “მკათათვეს” (მისამართი: გურჯაანის რაიონი სოფ. კაჭრეთი ს/ნ 227756728) კუთვნილი მოძრავი ნივთის რეალიზაცია.

გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი მოძრავი ნივთი:

მის.: გურჯაანის რაიონი, სოფ. კაჭრეთში მდებარე წისქვილკომბინატი, რაც შედგება შემდეგი ნივთებისგან: 111 ტრანსპორტიორი, 62 ნორიო, 37 ჩარხი, 23 სასწორი, 205 ელ. მოწყობილობა,140 ლაბორატორიის მოწყობილობა და 321 750 სხვა მოწყობილობა,.

გასაყიდად გამოტანილი მოძრავი ნივთის საწყისი ფასია 100 000 (ასიათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს მოძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს “თიბისი ბანკი”.

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს “თიბისი ბანკის” მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის ან ნივთების მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს “თიბისი ბანკი”**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

---

2010 წლის 30 იანვარს 10:30 საათზე მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7 ტარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება შპს “მკათათვეს” (მისამართი: გურჯაანის რაიონი სოფ. კაჭრეთი ს/ნ 227756728) კუთვნილი უძრავი ნივთების რეალიზაცია.

გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი უძრავი ნივთები:

1. მის.: სოფ. ზიარი, საკადასტრო კოდი 51.18.01.704, დაზუსტებული ფართობი 70 000 კვ.მ., შენობა-ნაგებობების საერთო ფართი3406.8 კვ.მ., ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო, უძრავი ნივთის საწყისიფასია 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი;
2. სიღნაღის რაიონში, სოფ. ბოდბისხევში მდებარე უძრავი ნივთები:

- საკადასტრო კოდი 56.05.29.001, დაუზუსტებელი ფართობი 1 200 000 კვ.მ. ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო;
- საკადასტრო კოდი 56.05.32.009, დაუზუსტებელი ფართობი 200 000 კვ.მ. ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო;
- საკადასტრო კოდი 56.05.32.008, დაუზუსტებელი ფართობი 300 000 კვ.მ. ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო;
- საკადასტრო კოდი 56.05.29.045, დაუზუსტებელი ფართობი 1 470 000 კვ.მ. ნაკვეთის ფუნქცია – სასოფლო-სამეურნეო;

*უძრავი ნივთების საწყისი ფასია 40 000 (ორმოციათასი) აშშ დოლარი;*

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი - სს “თიბისი ბანკი”.

თითოეულ ნივთთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება პირი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს ანგარიშზე №250114005 (სს “თიბისი ბანკის” მარჯანიშვილის ფილიალი), რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის ან ნივთების მესაკუთრე.

**სპეციალისტი სს “თიბისი ბანკი”**
**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

ფეხბურთი

# ამიერიდან – ფირცხალავა

**მას შემდეგ, რაც შარშან, 21 დეკემბერს, თანამდებობა საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტმა, ბიზნესში გადაბარგებულმა დიმიტრი რამიშვილმა დატოვა, საინტერესო იყო, ვინ წამოაყენებდა საკუთარ კანდიდატურას აღნიშნული პოსტის დასაკავებლად.**

და აი, ამოიწურა განაცხადის პფლ-ის სამდივნოში წარდგენის ვადა და აღმოჩნდა, რომ მსურველი მხოლოდ ერთია – გია ფირცხალავა, რომელიც გასული წლის 27 ნოემბრიდან ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო და იმ კომიტეტს ხელმძღვანელობდა, რომელსაც ტურნირების საორგანიზაციო, ტექნიკური და განვითარების, ახალგაზრდული ფეხბურთის, ფუტსალის, ქალთა და პლაჟის ფეხბურთის კურატორობა ევალებოდა.

დავძენთ, რომ არჩევნები, რომლის ბედიც უკვე გადაწყვეტილია, 25 იანვარს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში 14 საათზეა დანიშნული.



რაც შეეხება ხმის უფლებას, იგი ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ათი და პირველი ლიგის ოთხი კლუბის წარმომადგენელს აქვს. ესენია რუსთავის „ოლიმპი“, „ზესტაფონი“, თბილისის „ვიტ ჯორჯია“ და „დინამო“, „ცხინვალი“, „სამტრედია“, ბოლნისის „სიონი“, „გაგრა“, ზუგდიდის „ბაია“, თბილისის „ლოკომოტივი“, ფოთის „კოლხეთი“, „ბათუმი“, მარტვილის „მერანი“ და დედაქალაქის 35-ე საფეხბურთო სკოლა.

**გია პლატონიშვილი**

ჭადრაკი

# ბრძოლა მწვავდება



**საქართველოს მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატების მონაწილენი რაც მეტად უახლოვდებიან ფინიშს, ორთაბრძოლები მით უფრო დაძაბული და საინტერესო ხდება.** უკვე გაუწყეთ, რომ ავადმყოფობის გამო ქალთა მარათონს ნანა ძაგნიძე და ინგა ხურცილავა გამოაკლდნენ. ამის მიუხედავად, ტურნირს სიმწვავე არ მოჰკლებია. ერთპიროვნულმა ლიდერმა ნინო ხურციძემ შავებით ბელა ხოტენაშვილთან წააგო, ხოლო სალომე მელია მირანდა მიქაძეს დაუზავდა. ამდენად, ქალთა ჩემპიონატში ისევ ორხელისუფლებიანობაა. მერი არაბიძესა და ანა გავაშელს, შესაბამისად, ნანა ძაგნიძესა და ინგა ხურცილავასთან მოგება ჩაეთვალათ. დანარჩენი სამი პარტია ყაიმით დამთავრდა. დაზავდნენ ნინო ბაციაშვილი და მაია ლომინეიშვილი, სოფიო ხუხაშვილი და მაკა ფურცელაძე, ქეთი წაწალაშვილი და თამარ წერეთელი.

ამდენად, თერთმეტი ტურის შემდეგ 8-8 ქულით ხურციძე და მელია მეწინავეობენ. ლიდერებს ნახევარი ქულით ჩამორჩება მაია ლომინეიშვილი, რომელიც მესამე ადგილზეა. ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა.

ვაჟთა ტურნირში 6,5 ქულით ფიდეს ოსტატი ლუკა პაიჭაძე დაწინაურდა, რომელმაც მეცხრე ტურში დიდოსტატ დავით ჯოჯუას სძლია. თამაზ გელაშვილმა მალხაზ სულაშვილს მოუგო, გაიოზ ნიგალიძემ კი კონსტანტინე შანავა დაამარცხა. დანარჩენი ოთხი პარტია ყაიმით დამთავრდა: ზურაბ ჯავახაძე – ბეგლარ ჯობავა, ლევან ფანცულაია – დავით ბენიძე, გიორგი მარგველაშვილი – თორნიკე სანიკიძე, მერაბ გაგუნაშვილი – დავით არუთინიანი.

6-6 ქულით მეორე-მესამე ადგილებს გაგუნაშვილი და გელაშვილი ინაწილებენ.

**ვაჟა დანელია**

**სურათზე: ლუკა პაიჭაძე.**

ხელბურთი

# ლინცში – ტიტულის დასაცავად

**საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა შარშანწინ „ჩელენჯ ტროფის“ ფინალში ლუქსემბურგის ეროვნულ გუნდს სძლია და საპატიო პრიზი დაისაკუთრა. ჩვენი ბიჭები შარშან წლის მიწურულს მოლდოვაში კვლავ ჩაებნენ ბრძოლაში ტიტულის შესანარჩუნებლად.** მერაბ მეტრეველის შეგირდებმა კიშინიოვში მასპინძლებთან ერთად სომხები და აზერბაიჯანელები დაამარცხეს და ისევ ფინალში გავიდნენ. დასკვნითი შეხვედრისთვის ისინი მონდომებით ემზადებოდნენ და სპარინგ-მატჩებში ორჯერ აჯობეს ირანელებს, 21 იანვარს კი ავსტრიაში გაფრინდნენ, სადაც ხვალ ვენასთან ახლოს მდებარე ქალაქ ლინცში ფინელებს დაუპირისპირდებიან. ტიტულის დასაცავად მოედანზე გამოვლენ შოთა თევზაძე, გაგა სამყურაშვილი, სერგო დათუკიშვილი, ვლადიმერ რუსია, რატი მსხვილიძე, რევაზ ჭანტურია, ირაკლი ჩიქოვანი, ილია გოგალაძე, უჩა მაისურაძე, აკაკი ტალახაძე, ამირან ყიფიანი, ტიტე კალანდაძე, სერგეი კირილოვი და ოთარ ამირანაშვილი. მატჩი ავსტრიის დროით 15.30 საათზე დაიწყება. გულშემატკივრებს მისი ნახვა ევროპის ხელბურთის ფედერაციის ვებგვერდზე (www.eurohandball.com) შეეძლებათ.



**ლექსო ცინცაძე**

ლეგიონერი

# მარადონას ნაკვალევზე



**მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ნაკრების 19 წლის თავდამსხმელი ლევან მჭედლიძე იტალიის „სერია-ბ“-ს ბინადარ „ემპოლის“ საკუთრებაა და „პალერმოში“ იჯარითაა განათხოვრებული.**

როგორც ჩანს, მალე ტრავმებით გატანჯულ ჭაბუკ „ჯვაროსანს“ სიცილიური კლუბის გამოცვლა მოუწევს, სადაც ჩვენი თანამემამულე შარშანდელი 29 დეკემბრის შემდეგ აღარ გამოჩენილა, რითაც მისი თავკაცის მაურიციო ძამპარინის რისხვა დაატყდა თავს: „მჭედლიძეს შეუძლია საქართველოში დარჩეს. კარგი იქნება, თუ მას საერთოდ აღარ ვნახავ“ – აღნიშნა მან პრესასთან საუბარში. საამისოდ კი აუცილებელია ნეაპოლელებმაც იჯარით აიყვანონ ლევანი, ოღონდ საბოლოო გამოსყიდვის უფლებით (თანხა – 6,2 მილიონი ევრო).

აქვე დაგისახელებთ მჭედლიძის შესაძლო კონკურენტთა გვარებს – თუ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა, „ნაპოლის“ ძირითადი შემადგენლობიდან „სკუადრა აძურას“ წევრის კვალიარელასა და არგენტინელების – დენისისა და ლავეცის ამოგდებაზე უნდა იზრუნოს.

გასათვალისწინებელია ნეაპოლელთა ამბიციურობაც – ისინი „სერია-ა“-ში მეოთხე ადგილზე არიან და ჩემპიონთა ლიგას უმიზნებენ.

**გიორგი შოთაძე**

ოლიმპიზმი

# ალკოჰოლი ნებადართულია



**ვანკუვერის, ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქის, საქალაქო საბჭომ მოიწონა წინადადება მნიშვნელოვანწილად სპირტის შემცველობის ალკოჰოლიანი სასმელებით კერძო მაღაზიებში ვაჭრობის შესახებ.** ასე რომ, ამ კანადურ ქალაქს შესაძლებლობა ექნება, დიდი მოგება ნახოს არა მხოლოდ ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობით, არამედ ოლიმპიური თამაშების დროს გულშემატკივრების დიდი მოზღვავებითაც.

„ადრინდელი ნორმებით ქალაქის მაღაზიებს ლუდითა და ღვინით ვაჭრობის უფლება ჰქონდათ მხოლოდ არსებობის პირველ წელს. ადრე ადამიანებს ღვინო ან ლუდი რომ შეეძინათ, რამდენიმე მაღაზია უნდა შემოევლოთ. ახლა კი მათი ყიდვა თავისუფლად შეეძლებათ“, – აცხადებენ ხელისუფლების წარმომადგენლები.

ინტერნეტიდან

## გულშემატკივრებმა შეადგინეს



**ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის – უეფას – ოფიციალური საიტის 320 ათასზე მეტი მომხმარებლის ხმის მიცემის მიხედვით განისაზღვრა 2009 წლის ნაკრების შემადგენლობა – მასში ყველაზე მეტი ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გამარჯვებულის – კატალონიური „ბარსელონას“ წარმომადგენელია – 5 მოთამაშე და გუნდის მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლა. მისი ხელმძღვანელობით ხომ „ბარსელონამ“ ექვს ტურნირში გაიმარჯვა, ამიტომაც აღიარეს საუკეთესო მწვრთნელად.**

აი, როგორ გამოიყურება ასე შედგენილი 2009 წლის გუნდი: იკერ კასილასი („რეალი“, ესპანეთის ნაკრები), დანიელ ალვესი („ბარსელონა“, ბრაზილიის ნაკრები), ჯონ ტერი („ჩელსი“, ინგლისის ნაკრები), კარლეს პუიოლი („ბარსელონა“, ესპანეთის ნაკრები), პატრის ევრა („მანჩესტერ იუნაიტედი“, საფრანგეთის ნაკრები), კრიშტიანუ რონალდუ („რეალი“, პორტუგალიის ნაკრები), ხავი ერნანდესი („ბარსელონა“, ესპანეთის ნაკრები), კაკა („რეალი“, ბრაზილიის ნაკრები), ანდერს ინიესტა („ბარსელონა“, ესპანეთის ნაკრები), ლიონელ მესი („ბარსელონა“, არგენტინის ნაკრები), ზლატან იბრაგიმოვიჩი („ბარსელონა“, შვედეთის ნაკრები), მთავარი მწვრთნელი ხოსეპ გვარდიოლა („ბარსელონა“).

## შიროვი — რეკორდსმენი

**დიახ, თავისებური რეკორდი დაამყარა ჰოლანდიურ ვეიკ-ან-ზეეში მიმდინარე საჭადრაკო სუპერტურნირზე ერთ დროს რიგელმა, ახლა კი ესპანეთის სახელით მოასპარეზე ალექსეი შიროვმა. მან პირველ ოთხ ტურში ზედიზედ ოთხი გამარჯვება მოიპოვა და ახლა ტურნირის ლიდერია.**

როგორც სპეციალისტები ამბობენ, ასეთ შედეგს ანალოგი არ გააჩნია. იხსენებენ, რომ 1999 წელს ტურნირი დიდი წარმატებით დაიწყო მსოფლიოს მე-13 ჩემპიონმა გარი კასპაროვმა, იმ განსხვავებით, რომ პირველი პარტია მან ყაიმით დაასრულა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ტურნირის მონაწილე მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატებთან ანანდთან, კარლსენთან, კრამნიკთან, ივანჩუკთან შიროვს შეხვედრა მხოლოდ მეორე ნახევარში მოუწევს და სწორედ მათთან ორთაბრძოლების შედეგები გადაწყვეტს შიროვის ბედს.

მეოთხე ტურში შიროვს ჰოლანდიელ იან სმიტსთან მოუწია დაპირისპირება. რიგელ- ესპანელი ძალზე რისკიანად თამაშობდა და თუ არა ცაიტნოტში სმიტსის შეცდომა, პარტია მისი გამარჯვებით როდი დამთავრდებოდა.

მეოთხე ტურში ივანჩუკმა ვან-ველი დაამარცხა, ყაიმზე შეთანხმდნენ კრამნიკი – ტივიაკოვთან, კარიაკინი – კარუანასთან, ანანდი – ნაკამურასთან, კარლსენი – შორტთან, დომინგესი – ლეკოსთან.

4 ტურის შემდეგ შიროვს 4 ქულა აქვს, ივანჩუკს, კარლსენს, ნაკამურს – 3-3, კარიაკინს, კრამნიკს, ანანდს, დომინგესს – 2-2, კარუანას, ლეკოს, ტივიაკოვს – 1,5-1,5, ვან-ველს, შორტს – 1-1, სმიტსს – 0,5.

## ჟურნალის გარეკანი დაამშვენა

**ჟურნალის XXL პრიალა გარეკანი დაამშვენა ახლო წარსულში ცნობილი ბელორუსი ჩოგბურთელის ოლგა ბარაბანშჩიკოვას ამ ფოტომ, რითაც ახლა უკვე მომღერალმა გაახარა თავისი გულშემატკივრები.**

ეს ლამაზმანი თავის დროზე შედიოდა მსოფლიოს 50 უძლიერესი ჩოგბურთელის სიაში. 1999 წელს პოპულარულმა ამერიკულმა ჟურნალმა „ჩოგბურთი“ ოლგა პლანეტის ყველაზე სექსუალურ ჩოგბურთელად აღიარა. მას მაშინდელ ვარსკვლავს – ანა კურნიკოვას ადარებდნენ.



სამწუხაროდ, ჩოგბურთელის კარიერა უცებ შეწყდა და ის შოუ-ბიზნესში „გადაბარგდა“. ჟურნალ „პლეიბოის“ მფლობელი ჰიუ ჰოფნერი მას პიკანტური ფოტოსესიისთვის 200 ათას დოლარს სთავაზობდა. მაგრამ ბოლო წუთებში ლამაზმანმა უარი უთხრა. ახლა კი ჟურნალის XXL იანვრის ნომრისთვის ექს-ჩოგბურთელმა ნაწილობრივ გაიხადა, როგორც ჩანს, მთლად გაშიშვლებისთვის ის ჯერ მზად არაა.

ცხოვრების პარადოქსები

# დაცვის მუშაკებმა ყვავი მოიშინაურეს



**მაღლაკში ღვინის ქარხნის ეზოში დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა გაზაფხულზე ნაძვიდან ჩამოვარდნილ ყვავის ბუდეში სამი შეუბუმბლავი ბახალა იპოვეს. უმწეო ფრთოსნებზე მზრუნველობა ერთ-ერთი თანამშრომლის პავლე მამარდაშვილის ვაჟმა – ალეკომ ითავა. მას ასევე ეხმარებოდნენ ერისტო გაბიანი, გელა ასათიანი, რაფო მამარდაშვილი...**

ნაირ-ნაირი საკვებით და ყურადღებით განებივრებული ფრთოსნები წამოიზარდნენ, ფრენაც ისწავლეს, სულ მომვლელთა ირგვლივ ტრიალებდნენ, ღამეს კი საყარეულო ჯიხურის სახურავზე ათენებდნენ. სამწუხაროდ, ერთ-ერთი მათგანინაადრევად მოკვდა, მეორე კი გზაზე გამვლელმა მანქანამ გაიტანა.

მარტოდმარტო დარჩენილ ბახალას „გიგა“ დაარქვეს. ამ სახელის დაძახებისთანავე იგი ყრანტალით ეხმიანება მოამაგეებს, მხარზე დააფრინდება და მათი ხელის გულიდან მიირთმევს ხორცის ნაჭერს, პურს, თხილს... მორჩენილ ნუგბარს ხან სახლის სახურავზე, ხან ეზოში, ბალახებს შორის, მალავს, რომელსაც ხშირად მასპინძლის ძაღლი იპარავს. „ჯეკასთან“ ერთად „გიგა“ კატებთანაც გაშინაურებულია.

ყვავს ძალიან იზიდავს ქაღალდის ნაგლეჯები, ასევე – ბრჭყვიალა საგნები, ბატონ პავლეს რამდენჯერმე მოპარა ოთახის გასაღები. „გიგას“ სახელი ისე გაუვარდა, მის სანახავად უკვე „ხელდამშვენებული“ მოდიან დევნილთა დასახლება „ცხუმსა“ და ღვინის ქარხანასთან ახლომახლო მცხოვრები პატარები. „გიგა“ სტუმრებს ჯერ შორიდან დაზვერავს, მერე ხტუნვა-ხტუნვით ნელ-ნელა მიუახლოვდება და ფრთხილად გამოართმევს ლუკმას. თუ ვინმე არ მოეწონა, ყრანტალით გაეცლება...

ცხოვრების პარადოქსი – აბა, სხვა რა უნდა უწოდო იმას, რომ გაუქმებული და გაკოტრებული ღვინის ქარხანა თანდათან იცლება მანქანა-დანადგარებისგან, წლობით ნაშენები და ნალოლიავები კორპუსები ნელ-ნელა ინგრევა და ჯართად ბარდება, უხელფასოდ დარჩენილი, თითებზე ჩამოსათვლელი თანამშრომლები კი მოშინაურებული ყვავის ფერებით ერთობიან.

**მურთაზ კანკაძე,**
**გაზეთ „წყალტუბოს“ რედაქტორი.**

სამართალი

# ფეხმძიმე მონა ქალმა შინ ძლივს ჩამოაღწია

**მართალია, ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი აღმოფხვრილია და მოსახლეობის ცხოვრების დონე უმჯობესდება, მაგრამ ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევა, როდესაც უკიდურესად შეჭირვებულნი, ნებსით თუ უნებლიეთ, საკუთარი სურვილით ხდებიან ტრეფიკინგის მსხვერპლნი. მათ გაჭირვებაზე ზოგიერთს წარმატებული ბიზნესიც აქვს წამოწყებული.**

რაკი იცოდა, რომ გარდაბნელი ქალანა ჰუსეინოვას ძალიან უჭირდა, მისმა თანასოფლელმა ირადა ახმედოვამ მას თურქეთში წასვლა და მუშაობის დაწყება ურჩია. „კეთილისმქნელი“ ამოსარჩევად სთავაზობდა ფარდების მკერავად, ყვავილების თაიგულების შემკრავად ან სულაც თხილის მკრეფავად მუშაობას. ჰუსეინოვა მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა საზღვარგარეთ წასვლას, რომ მას მძიმე სამუშაოზე არ გაამწესებდნენ, რადგანაც ორი თვის ფეხმძიმე იყო. ახმედოვამ თვითონ გაუმზადა საქართველოს პასპორტი და მეგობარ ჰასან ქუშურთან და ჰუსეინოვასთან ერთად გაემგზავრა საზღვარგარეთ.

შემდგომ გაირკვა, რომ წყვილს ქალანას სექსბიზნესში ჩართვა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ჩაყვანილ მონას ამუშავებდნენ დღითა და ღამით, მომსახურებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სცემდნენ, წართმეული ჰქონდა პასპორტი და ოჯახთან კომუნიკაციის საშუალება. ტრეფიკინგის მსხვერპლმა ვეღარ გაუძლო გაუსაძლის პირობებს, ეშმაკობას მიმართა – საქართველოში წაყვანა და აბორტის გაკეთება ითხოვა, პირობა დადო, აუცილებლად დავბრუნდები თურქეთშიო. ახმედოვამ იგი საქართველოში ჩამოიყვანა და ცდა დაიწყო, ვიდრე აბორტი გაკეთდებოდა.

ჰუსეინოვამ სამართალდამცავებს მიმართა. ამ დროს გამოჩნდა ახმედოვას კიდევ ერთი მსხვერპლი – დურანა ახმედოვა. მაგრამ გამოძიებისა და სასამართლოსთვის პირველი ჩვენებების მიცემის შემდეგ ყველაფერი თავდაყირა დადგა: დაზარალებულები უარყოფდნენ პირველ ჩვენებებს, აცხადებდნენ, შევცდითო. ცხადი იყო, რომ ისინი დაკავებული მხარისაგან უხეშ ზეწოლას განიცდიდნენ.

სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინა გარდაბნის სასამართლომ და ირადა ახმედოვას 12 წლით პატიმრობა მიუსაჯა. სასჯელმისჯილის მხარემ სააპელაციო სასამართლოს მიმართა.

# ნულოვანი ტოლერანტობა და ციხეში გაშვებული გონებაშეზღუდულები

**გონებრივად შეზღუდულები ზურაბ ჯანეზაშვილი და მისი ბიძაშვილი არჩიკო სურამელი გორის პოლიციამ მაშინ დააკავა, როდესაც ისინი ქუჩაში გამოკრული ბილბორდებიდან პლასტმასის კარკასებს იპარავდნენ.**

გამოძიების მასალებში დევს გორის სარაიონთაშორისო ფსიქონევროლოგიური დისპანსერის მიერ გაცემული ცნობა, რომლის მიხედვითაც არჩილ სურამელს აღენიშნება გონებრივი განვითარების ჩამორჩენილობა მსუბუქი დებილობის დონეზე ქცევის პათოლოგიით.



უფრო მძიმე მდგომარეობაა ჯანეზაშვილთან დაკავშირებით. მას აღენიშნება ტვინის დაზიანებითა და დიფუზიით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობა ორგანული ჰალუცინოზით. ახლობლები, მოწმეები აცხადებენ, რომ ფსიქიკური აშლილობის დროს ჯანეზაშვილს არაერთხელ უცდია თავის ჩამოხრჩობა. ადვოკატებმა შუამდგომლობით მიმართეს პროკურატურას, ორივე განსასჯელისთვის აღმკვეთ ღონისძიებად გამოტანილი ყოფილიყო იძულებითი მკურნალობა.

მაშინ, როდესაც ჩვენი შეუვალი პროკურატურა მკვლელს, ყაჩაღს, ქვეყნის დამქცევს გირაოთი ათავისუფლებს, როგორც ჩანს,ბილბორდიდან ფირფიტების მომპარავ არასრულწლოვან გონებაშეზღუდულებსაც მათ რანგში აერთიანებს.

პროკურატურამ თითოეული დაკავებულისგან გირაოს სახით 6-6 ათასი ლარი მოითხოვა. ორივე გონებაშეზღუდული უაღრესად შეჭირვებული ოჯახიდანაა. მათ გირაოს საფასურის გადახდა ვერ შესძლეს. მასალები სასამართლოს გადაეგზავნა. არჩილ სურამელს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ზურაბ ჯანეზაშვილს კი – იძულებითი მკურნალობა.

დაკავებულების ახლობლებისა და ადვოკატების განცხადებით, დიდია ალბათობა, რომ ავადმყოფებმა სასჯელის აღკვეთის დაწესებულებაში ზიანი არა მხოლოდ საკუთარ ჯანმრთელობას, არამედ სხვა პატიმრებსაც მიაყენონ.

**ზაზა ბილიხოძე**

გამოსათხოვარი

# რუსუდან პატარიძე



გარდაიცვალა რუსუდან (რუსიკო) ტაბეშაძე-პატარიძისა, მშვენიერი ქართული ოჯახის მოამაგე, ქალ-ვაჟის დედა და შვილიშვილების საყვარელი ბებია, პროფესიონალი ეკონომისტი და აღრიცხვის დარგის მუშაკი. ყველგან, სადაც კი უმუშავია – კულტურის სამინისტროში – ეკონომისტად, ფინანსთა სამინისტროში – ბუღალტერ-რევიზორად, თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურში – მთავარ ბუღალტრად – ხასიათდებოდა პრინციპულობით, კომუნიკაბელურობით და მაღალი პროფესიონალიზმით.

მეზობლებში სარგებლობდა დამსახურებული პატივისცემით და სიყვარულით, საჭიროების შემთხვევაში არ იშურებდა რჩევა-დარიგებას.

დოლიძის ქუჩის მე-16 კორპუსის მცხოვრებლებმა რუსუდან პატარიძის სახით დაკარგეს საყვარელი და სათნო ადამიანი, რომელიც დიდხანს დარჩება მათ ხსოვნაში. მეზობლები სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ქალიშვილს – ქალბატონ ნანა და ვაჟიშვილს – ბატონ გია პატარიძეებს.

გახსენება

# გურამ ხომერიკი



გავიდა ერთი წელი, რაც ჩვენი ქვეყნის მშენებლებს უეცრად გამოაკლდა ნიჭით, შრომისმოყვარეობითა და პატიოსნებით აღსავსე მშენებელი, ბატონი გურამ ხომერიკი.

ამ კარგი კაცის სიკვდილი განსაკუთრებით საგრძნობია დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სამშენებლო საქმის თანამედროვე ეკონომიკური მართვის პრინციპებზე გადასვლის პროცესი გონებაგახსნილი და გამჭრიახი კაცის რჩევასა და ხელმძღვანელობას ითხოვს.

ბატონი გურამი ხომ გამოირჩეოდა სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიის, სამშენებლო ინდუსტრიისა და მშენებლობის ეკონომიკის საკითხების ღრმა ცოდნით.

მისი მოღვაწეობა, სამშენებლო ობიექტზე თუ სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოში, სამინისტროსა თუ საქართველოს პარლამენტის აპარატში, საპროექტო ინსტიტუტის ხელმძღვანელის პოსტზე თუ საქართველოს მშენებელთა ფედერაციაში, იყო მაღალი პროფესიონალიზმითა და ორგანიზაციული ნიჭით აღსავსე ადამიანის სასარგებლო საქმიანობის ნიმუში.

გურამ ხომერიკი ამასთანავე იყო სამაგალითო მეგობარი, თბილი და გულისხმიერი ადამიანი, საუკეთესო მეოჯახე.

ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს მის ნათელ სულს.

მის ხსოვნას, ოჯახთან ერთად, სათუთად შეინახავენ მისი მეგობრები და ამხანაგები.

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია

ს/ს „თემქაპურის“ და ს/ს „სპაგეტი-94“-ის თანამშრომლები იუწყებიან უკეთილშობილესი პიროვნების, საუკეთესო პროფესიონალი მექანიკოსის

გურამ პეტრიაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## განცხადება

**ქ. თბილისის №30 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით დამტკიცებული სკოლის შენობის ფართების იჯარით გადასაცემად ყოველთვიური მინიმალური საკონკურსო ფასით:**

**1. 80 კვ.მ.** – 280 ლარი (ბუფეტის ფუნქციონირებისათვის);
**2. 240 კვ.მ.** – 1000 ლარი (ოფისის, სტომატოლოგიური კაბინეტის, სააგენტოებისათვის, ა. შ.)
**3. 156 კვ. მ.** – 936 ლარი (ოფისის, სტომატოლოგიური კაბინეტის, სააგენტოებისათვის, ა. შ.);
**4. 120 კვ.მ.** – 1 სთ. – 8 ლარი (სპორტული და ქორეოგრაფიული წრეებისათვის);
**5. 273 კვ.მ.** – 1 სთ. 5 ლარი (სპორტული და ქორეოგრაფიული წრეებისათვის);
**6. 100 კვ.მ.** – 400 ლარი (სპორტული და ქორეოგრაფიული წრეებისათვის);

**საიჯარო ურთიერთობის მაქსიმალური ვადა 5 წელი.**

**განცხადებები მიიღება გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში №30 საჯარო სკოლის დირექციაში.**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: ქ. თბილისი, №30 საჯარო სკოლა. მის: კიევის ქუჩა №4 ტელ.: 897120104.**

## დაიჯესტი

### მსოფლიოს „გავლენიანი“ ცხოველები

**ბარნის „პრეზიდენტური“ ცხოვრება ბოლო რვა წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე ცნობილი ძაღლი მამა-შვილ ჯორჯ ბუშების სკოტჩ-ტერიერი ბარნი იყო.** მას ინტერნეტში საკუთარი საიტი აქვს, ხოლო თეთრ სახლში მის ცხოვრებაზე რამდენიმე ფილმიც კი არის გადაღებული. ახლა ბარნის დიდების დავიწყება მოუწევს: ბუშების ტეხასის რანჩოში მას ძროხა ოფელიას მეურვეობა აქვს დაკისრებული.

და. იგი ასევე ირწმუნება, რომ მეკობრე ჩარლი 1899 წელს გამოიჩეკა, როცა უინსტონ ჩერჩილი სულ ორი წლისა იყო.

### ვარსკვლავური ბედი

**2003 წელს გერმანიის ყოფილმა კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა ბორდერ-ტერიერი ჰოლი შეიძინა, რომელიც ჟურნალებისა და რეკლამების ვარსკვლავად იქცა. კანცლერის მეუღლემ ფრაუ დორის შროიდერ-კეპფმა ძაღლების აქსესუარების – საყელოების, სათამაშოების, ჯამების, ალიკაპებისა და ა.შ.– მთელი სერია შექმნა. ცხადია, რომ პროდუქციის „სახედ“ ჰოლი იქცა. მართალია შრედერების წყვილს კიდევ ერთი საყვარელი ცხოველი ჰყავთ, კატა შნური, მაგრამ ჰოლის მასთან კარგი მეგობრული ურთიერთობა აქვს.**



ძაღლით, კატით და თუთიყუშით ვერავის გააკვირვებ. მაგრამ ლომები და მგლები კი სულ სხვა საქმეა. სწორედ ეს მტაცებლები იცავდნენ სადამ ჰუსეინისა და მისი ვაჟიშვილების სიმშვიდეს. სადამის უფროსი ვაჟი უდაიხშირად დადიოდა ღამის კლუბებში ლომის მოზრდილ ბოკვერთან ერთად.

ბელორუსიის პირველი პირის ალექსანდრე ლუკაშენკოს რეზიდენციაში ხუთი ძაღლი ცხოვრობს: ორი ნაგაზი, ორი ლაიკა და ერთი ჰასკი. არის კიდევ ორი არაბული ბედაური.

უკრაინის პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს ქალაქგარეთ, ნოვი ბეზრადიჩის რეზიდენციაში მთელი ზოოპარკი ჰყავს მოშენებული, სადაც ბინადრობენ ქათმები, კატები, ძაღლები და ფარშევანგები.

### დაუნინგ-სტრიტის ძველი ბინადარნი

**თუკი სახლში თაგვები გაჩნდნენ, კატა უნდა მოიყვანოთ. სწორედ ამ წესით იხელმძღვანელეს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრების რეზიდენციის მოსამსახურეებმა, როცა 1980-იანი წლების შუაში დაუნინგ-სტრიტის № 10-ში საიდანღაც მღრღნელები გაჩნდნენ. მათ პრემიერის სახლში კატა ჰამფრი მიიყვანეს. რეზიდენციის „მთავარი თაგვების დამჭერი“ (ეს არის მისი ოფიციალური თანამდებობის სახელწოდებაძ, სამ პრემიერს ემსახურებოდა: მარგარეტ ტეტჩერს, ჯონ მეიჯორსა და ტონი ბლერს. 2006 წელს ჰემფრი სიბერით მოკვდა.**

იმის შესახებ, რომ თუთიყუშებს შეუძლიათ პატრონზე დიდხანს იცოცხლონ, ყველამ კარგად იცის. არას ჯიშის ლურჯ-ყვითელი თუთიყუშის პატრონი პიტერ ორამი ამტკიცებს, რომ მისი თუთიყუში, მეტსახელად მეკობრე ჩარლი, უინსტონ ჩერჩილთან 1937 წლიდან 1965 წლამდე ცხოვრობ-

### „ლუდის“ ხე

**არსებობს პურის ხე, არის საცობის მუხა. გერმანიის ქალაქ ლანდსჰუტის მკვიდრი ჰელმუტ კრანე კი ხუმრობით ამბობს, რომ მის ეზოში „ლუდის“ ხე გაიზარდა.** თანაც როგორც ჭეშმარიტი ბავარიელი, იგი დარწმუნებულია, რომ ეს უჩვეულო „ლუდის კათხა“ მხოლოდ დიდებული ლუდით საქვეყნოდ განთქმულ მის მშობლიურ კუთხეში შეიძლებოდა გაზრდილიყო.

## დღის კალენდარი

### 22 იანვარი

**ხსენება წმიდა მოწამე პოლიევქტი მხედრისა (259ძ; ფილიპესი – მოსკოვის მიტროპოლიტისა (1569ძ; ღირსი ევსტრატი საკვირველმოქმედისა (IXძ. წინასწარმეტყველ სამესი (X ს ქრისტეს შობამდეძ. წმიდა პეტრე სებასტიელ ეპისკოპოსისა; ღირსთა ბასილი და სასწაულმოქმედისა და გრიგოლისა (IXძ; წმინდისა ადრიანესი ინგლისიდან, კენტერბერიის წინამძღვარისა (716ძ. ირიგოლდისა, კენტერბერის მტავარეპისკოპოსისა (731ძ.**



**ამოდის 07.22**
**ჩადის 17.04**



**ამოდის 10.12**
**ჩადის 23.12**

### დაიბადნენ:

**1561 – ფრენსის ბეკონი,** ინგლისელი ფილოსოფოსი, ინგლისური მატერიალიზმის ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1626 წელს.
**1729 – გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი,** დიდი გერმანელი დრამატურგი, ხელოვნების თეორეტიკოსი, გერმანული კლასიკური ლიტერატურის ფუძემდებელი.
**1775 – ანდრე მარი ამპერი,** გამოჩენილი ფრანგი ფიზიკოსი, მათემატიკოსი. გარდაიცვალა 1836 წელს.
**1788 – ჯორჯ გორდონ ბაირონი,** დიდი ინგლისელი პოეტი. გარდაიცვალა 1824 წელს.
**1889 – გრიგოლ ფერაძე,** სწავლული, სასულიერო მოღვაწე. გარდაიცვლა 1943 წელს.
**1898 – სერგეი ეიზენშტეინი,** კინორეჟისორი, „ჯავშნოსანი პოტიომკინის“ ავტორი. გარდაიცვალა 1948 წელს.
**1904 – ჯორჯ ბალანჩინი,** კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძის ვაჟი, ამერიკული ბალეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1983 წელს.
**1908 – ლევ ლანდაუ,** რუსეთელი ფიზიკოსი, აკადემიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1968 წელს.
**1935 – ალექსანდრ მენი,** გამოჩენილი რუსი თეოლოგი. მოკლეს 1990 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1798 – ერეკლე II,** ქართლ–კახეთის მეფე.
**1901 – ვიქტორია,** დიდი ბრიტანეთის დედოფალი.
**1973 – ლინდონ ბეინს ჯონსონი,** აშშ-ს 36-ე პრეზიდენტი.
**1993 – კობო აბე,** იაპონელი მწერალი.

### მოვლენები:

**1722 წელი** – პეტრე I-მა დაამტკიცა რუსეთის იმპერიის ყველა ჩინის რანგის ტაბელი. სულ 14 ჩინი იყო: უმაღლესი – სახელმწიფო მდივანი, ხოლო მე-14 – კოლეგიის რეგისტრატორი.
**1724 წელი** – რუსეთის მეცნიერებათა აკადემია დაარსდა.

**მელიანიუსი**

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6997 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4306 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7222 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.6309 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4979 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1164 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1286 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1574 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4900 ლარი |



## ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | +3 – +7 |
| ქუთაისი. | +13 – +15 |
| ბათუმი. | +14 – +17 |
| ზუგდიდი. | +12 – +14 |
| თელავი. | +3 – +8 |

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– ძვირფასო, რა გაჩუქო დაბადების დღეზე? – ეკითხება ცოლი ქმარს.
– წუთიერი დუმილი.

* * *

ორი დაქალი საუბრობს:
– გავიგე, რომ შეყვარებული ყოფილხარ, – ეუბნება ერთი.
– გაიგე? ნუთუ ასე ხმამაღლა ვყვიროდი?..

* * *

– ჩვენი დეპუტატი ივანიჩი რომელ საათებში ღებულობს?
– როგორ გითხრათ, დაახლოებით 12 საათისთვის 150 გრამ კონიაკს ღებულობს, მერე კი, როგორც წავა საქმე...

* * *

კათოლიკე მღვდელთან ახალგაზრდა ბიჭი მივიდა:
– ცოდვილი ვარ, პადრე, შეყვარებული ვარ.



– ვინ შეგიყვარდა, შვილო ჩემო?
– არ მინდა ამაზე ლაპარაკი...
– რახან დაიწყე, ნუ გრცხვენია, ჩვენს მრევლში ბევრი ლამაზი გოგოა. იქნებ მზეთუნახავი ჰელენა შეგიყვარდა?
– არა...
– მაშინ, ალბათ, მარია?
– არა, პადრე.
– ნუთუ თვით მარგარიტა ჩაგივარდა გულში?
– არა, პადრე, ალექსანდრე მიყვარს...
– ღმერთო! როგორ შეიძლება ეს, შვილო?! ალექსანდრე რომ პროტესტანტია!!!

* * *

ჩემი ცოლი არასოდეს მიმატოვებს.
– რატომ?
– მისი ათასი დოლარი მმართებს.

* * *

ნუ ჭამთ – ეს, თქვენდა უნებლიეთ, შესაძლოა, ჩვევად გექცეთ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.